

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში

**Student Journal of Social Sciences**

№9, აგვისტო

ელექტრონული სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალი

2019

E ISSN: 2449-3066

## სარედაქციო კოლეგია

ვალერიან მელიქიძე – სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, ასოცირებული პროფესორი, საზოგადოებრივი გეოგრაფია

გიორგი კვინიკაძე – ასოცირებული პროფესორი, საზოგადოებრივი გეოგრაფია

მარინა ბურძენიძე – ასოცირებული პროფესორი, სოციოლოგია და სოციალური მუშაობა

სალომე ნამიჭივილი – ასისტენტ-პროფესორი, სოციოლოგია და სოციალური მუშაობა

ნანული ტალახაძე – ასოცირებული პროფესორი, ჟურნალისტიკა და მასკომუნიკაცია

მანანა შამილიშვილი – ასოცირებული პროფესორი, ჟურნალისტიკა და მასკომუნიკაცია

სალომე დუნდუა – ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერება

ავთანდილ ტუკვაძე – ასისტენტ-პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერება

ფიქრია ასანიშვილი – ასოცირებული პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობები

დავით მაცაბერიძე – ასისტენტ-პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობები

თეონა მატარაძე – ასოცირებული პროფესორი, ინტერდისციპლინური დეპარტამენტი

## ტექნიკური ჯგუფი:

თეონა თაბუაშვილი, ოთარ კობახიძე

## ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ანი ფერაძე, ელენორა ჭანია.  
საქართველოს მოსახლეობის ტერიტორიული გაადგილების ტენდენციები პოსტსაბჭოურ  
პერიოდში (1989-2014 წლებში)-----1
  
2. მაკა გოგილაშვილი.  
სახელმწიფო აგრარული პოლიტიკის ეფექტიანობის ანალიზი: შიდა ქართლის მაგალითზე --  
-----25
  
3. მარიამ მამულაშვილი.  
9/11-ის როლი ბუმის დოქტრინის ჩამოყალიბებაში და მისი გავლენა ამერიკის საგარეო  
პოლიტიკის წარმართვაზე-----47



საქართველოს მოსახლეობის ტერიტორიული გაადგილების ტენდენციები  
პოსტსაბჭოურ პერიოდში (1989-2014 წლებში)

ანი ფერაძე  
ელეონორა ჭანია

საზოგადოებრივი გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამა  
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: [aniperadze98@gmail.com](mailto:aniperadze98@gmail.com)

[eleonora.tchania@gmail.com](mailto:eleonora.tchania@gmail.com)

## აბსტრაქტი

2014 წლის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნება 1989 წლის სრულიად საკავშირო აღწერის მონაცემებთან შედარებით 31.78%-ით ნაკლებია, რაც, რა თქმა უნდა, მწვავე დემოგრაფიულ კრიზისზე მიუთითებს. მსგავსი ვითარება დამახასიათებელია პოსტსაბჭოთა სივრცის, აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ ევროპის უმეტესი სახელმწიფოსთვის. საქართველო უახლოესი ევროპელი მეზობელი ქვეყნებისგან გამოირჩევა მოსახლეობის რაოდენობის მკვეთრი შემცირებით, მას მოსდევს ლატვია, სადაც მოსახლეობის რაოდენობა 24.32%-ით შემცირდა. 1990-იან წლებში აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში გარდამავალმა პერიოდმა გამოიწვია სიკვდილიანობის ზრდა, სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირება და დეპოპულაცია. ქართულ რეალობაში ამ პროცესის მიზეზი დაძაბული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება გახლდათ. აღნიშნული სტატიის მიზანია წარმოაჩინოს საქართველოს მოსახლეობის ტერიტორიული გაადგილების ტენდენციები 1989 და 2014 წლებში. კვლევა დაფუძნებულია 1989 წლის მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერისა და 2014 წლის საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემების შედარებისა და ანალიზის საფუძველზე.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ მაშინ, როდესაც საკვლევ პერიოდში მთლიანად საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა, ამავდროულად გაიზარდა საქალაქო მოსახლეობის წილი. სტატიაში განვიხილავთ საქართველოს რეგიონებს, საქალაქო დასახლებებს და წარმოვადგენთ როგორც საქართველოს რეგიონების, ასევე ქალაქების მოსახლეობის რაოდენობრივ ანალიზს. ანალიზის დროს გამოვიყენეთ რამდენიმე მეცნიერის ნაშრომი. სტატიაში თვალსაჩინოებისთვის წარმოვადგენთ საქართველოს საქალაქო მოსახლეობის რეგიონულ ცვლილებას გრაფიკის სახით, ასევე საქართველოს საქალაქო მოსახლეობის რაოდენობის და საქალაქო მოსახლეობის წილის ცვლილებას საქართველოს მოსახლეობასთან მიმართებაში 1989 და 2014 წლებში, აგრეთვე წარმოვადგენთ დასახლებულ წლებში ქალაქების ურბანიზაციის დონეს და მათ შედარებას.

**საკვანძო სიტყვები:** მოსახლეობის რაოდენობა, მოსახლეობის შემცირება, ტერიტორიული გაადგილება, საქალაქო მოსახლეობა.

## შესავალი

1989 წელს იწყება საბჭოთა კავშირის დაშლა. ამას მოჰყვა უამრავი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა, რამაც წაახალისა საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია. მიმდინარეობდა როგორც შიდა, ასევე გარე მიგრაციები. 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში დაიწყო ეკონომიკური სისტემების ცვლა. პოსტსაბჭოთა სივრცეში საქართველომ განიცადა ღრმა დემოგრაფიული კრიზისი, რომელიც, პირველ რიგში, გამოიხატა მოსახლეობის რაოდენობის მკვეთრი შემცირებით. 2014 წელს 1989 წელთან მიმართებაში მნიშვნელოვნად შეიცვალა მოსახლეობის საერთო რიცხვი, როგორც რეგიონებში, ასევე კონკრეტულ დასახლებულ პუნქტებში. ამ პროცესებმა განსაკუთრებით შეცვალა მათი ტერიტორიული ორგანიზაციის ანუ განსახლების სისტემა, ასევე ურბანიზაციის დონე. გარდა ამისა, ბოლო ათწლეულებში საქართველოს ეკონომიკამ განიცადა მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები. ამასთანავე, მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი მუდმივი შემოსავლის გარეშე დარჩა და უმუშევართა მრავალრიცხოვანი არმია წარმოიქმნა.

განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა საქართველოს პატარა და საშუალო ქალაქები, რომელთა განვითარების პერსპექტივაც ბუნდოვანი იყო. საქართველოს ქალაქების უმეტესობა ფუნქციას კარგავდა. თითქმის ყველა მათგანმა მოსახლეობის მკვეთრი შემცირება განიცადა. თუმცა, ამავდროულად მოსახლეობის კონცენტრაცია მატულობს თბილისში. მოსახლეობის სიმჭიდროვე, დასახლებების სიდიდე, ურბანული და სასოფლო დასახლებების ტიპები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მნიშვნელოვნად განსხვავდება. 1990-იან წლებში მოსახლეობის შემცირება მთელი საქართველოს მასშტაბით აღინიშნა, მაგრამ კლება ყველაზე მეტად მაღალმთიან რეგიონებში, მონო-ინდუსტრიულ ქალაქებსა და იმ რაიონებში დაფიქსირდა, სადაც მოსახლეობის დიდ ნაწილს ეთნიკური უმცირესობები შეადგენდა (2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა, 2014). მოსახლეობის განსახლებაზე გარკვეული გავლენა მოახდინეს აგრეთვე ტერიტორიული კონფლიქტების გამო ლტოლვილებმა. მხოლოდ 1991-93 წლებში დაახლოებით 300 ათასი ადამიანი გახდა დევნილი აფხაზეთში. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის 2014 წლის აღწერის დროს, მოსახლეობის 19,93 პროცენტმა განაცხადა, რომ ისინი 12 თვის ან მეტი დროის განმავლობაში ცხოვრობდნენ სხვაგან, მათ შორის 1,26 პროცენტი ცხოვრობდა საზღვარგარეთ. როგორც მოსალოდნელი იყო, მოსახლეობის ამ კატეგორიის პროცენტული წილი მნიშვნელოვნად მაღალია საქალაქო დასახლებებში (24,95 პროცენტი), სასოფლო დასახლებებთან შედარებით (13,24 პროცენტი) (ჰაკერტი, 2017).

აღნიშნული სტატიის მიზანია წარმოაჩინოს საქართველოს მოსახლეობის ტერიტორიული გაადგილების ტენდენციები 1989 და 2014 წლების პერიოდში. კვლევა დაფუძნებულია 1989 წლის მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერისა და 2014 წლის საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემების შედარებისა და ანალიზის საფუძველზე. აღნიშნული მიზნის მიღწევის პროცესში გადაიჭრა შემდეგი ამოცანები:

- გაანალიზდა საქართველოს მოსახლეობის დინამიკა 1989-2014 წწ. მეზობელ პოსტსოციალისტურ, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებთან შედარებით;
- შესწავლილი იყო მოსახლეობის დინამიკა საქართველოს რეგიონების დონეზე (მ.შ. რეგიონების შიგნით) და მისი თანმხლები მოსახლეობის ტერიტორიული გაადგილების ცვლილებები;
- განხილული იქნა ქვეყნის ურბანიზაციის ტრენდები როგორც ტერიტორიული, ასევე საქალაქო დასახლებების სიდიდის გათვალისწინებით.

კვლევის მიმდინარეობისას დემოგრაფიული ანალიზისთვის გამოვიყენეთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, გაეროს ოფიციალური ვებ-გვერდის, 1989 წლის მოსახლეობის სრულიად საკავშირო და 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერების მონაცემები, ის რიცხოზომიერ მარკენებლები, რომლებიც მონაცემების სისტემატიზაციას ასახავს. ამის საფუძველზე წარმოვადგინეთ ჩვენ მიერ შექმნილი ცხრილები და რუკები. შესასწავლი საკითხების დასამუშავებლად გავაანალიზეთ სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურა, სტატია და ნაშრომი.

### **ლიტერატურის მიმოხილვა**

აღნიშნული თემატიკის გარშემო არსებობს მთელი რიგი მოსაზრებები, საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე. მეცნიერი გიორგი მელაძე წიგნში „საქართველო და

გლობალური დემოგრაფიული პრობლემები“ მოსახლეობის რაოდენობის საკითხებს ეხმიანება, სადაც წერს: „გასული საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში განვითარებულმა მოვლენებმა - შეიარაღებულმა კონფლიქტმა ცხინვალის რეგიონში, სამოქალაქო და აფხაზეთის ომებმა - უკიდურესად გააუარესა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ქვეყნის მართვაში სახელმწიფო კონტროლის შესუსტებამ კიდევ უფრო დაძაბა არსებული საერთო ვითარება, მოიშალა სახალხო მეურნეობის რიგი დარგები, მკვეთრად გაუარესდა კრიმინოგენული სიტუაცია, არსებულმა საერთო ვითარებამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია“ (მელაძე, 2013). ამ მიზეზების გამო მოხდა მოსახლეობის მიგრაცია როგორც საზღვარგარეთ, ასევე საქალაქო დასახლებებში.

გეოგრაფი ნატალია ზუბარევიჩი მონოქალაქების დახასიათებასა და გერმანიის მაგალითზე ამახვილებს ყურადღებას. მისი თქმით, მონოქალაქებში არსებული პრობლემები ბევრი ქვეყნის გამოწვევაა. არსებობს "ამერიკული" და "ევროპული" მიდგომა. აშშ-ში მოსახლეობა ძალიან მობილურია და საშუალოდ 6-7 ჯერ იცვლის საცხოვრებელ ადგილს. აქ დამახასიათებელია ადამიანების გადაადგილება დეპრესიული ინდუსტრიული ქალაქებიდან სხვა ადგილებში, სადაც სამუშაო ადგილებია. თავად მოსახლეობა იღებს გადაწყვეტილებას, ატარებს ხარჯებს და პასუხისმგებელია რისკებზე, მაგრამ გადაადგილების ხარჯები ხელს უწყობს განვითარებულ საბინაო ბაზარს და საკრედიტო სისტემას. ამ საკითხში ევროპელები არ არიან ამერიკელების მსგავსნი, მათი მობილურობა გაცილებით დაბალია. რუსული მობილურობა კიდევ უფრო დაბალია და გარდამავალი პერიოდის განმავლობაში განახევრდა. სახელმწიფო (სახელმწიფო ორგანოები, ადგილობრივი ხელისუფლება) ცდილობს გააძლიეროს დეპრესიული ქალაქების ინფრასტრუქტურა, რათა ახალი ბიზნესის მიზნით ყურადღება მიიქციოს, მაგრამ ეს მცდელობები ყოველთვის წარმატებული არ არის. ევროპული და უფრო კონკრეტულად, რურის ინდუსტრიული ქალაქების რეორგანიზაციისა და რესტრუქტურის გერმანული გამოცდილება წარმატებულია და არაერთხელ დაწერილა ამის შესახებ (Зубаревич, 2010).

ვლადიმერ პოპოვი თავის სტატიაში სახელწოდებით „სიკვდილიანობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში“ ეხმიანება იმ საკითხებს, რამაც გამოიწვიეს მოსახლეობის რაოდენობის ცვლილება პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. ისტორიის ეს პერიოდი უნიკალური ნაწილია, რომელსაც სხვა ქვეყნებში ანალოგი არ გააჩნია. საბაზრო ტიპის რეფორმებს დემოკრატიზაციის შოკი დაემატა. 1990-იან წლებში დანაშაული, მკვლელობა და თვითმკვლელობის მაჩვენებლები მკვეთრად გაიზარდა. ექსპერტების აზრით, საკვები და ჯანდაცვის სისტემის გაუარესება, ასევე გარე მიზეზები (უბედური შემთხვევები, მკვლელობები, თვითმკვლელობი) სიკვდილიანობის გამომწვევი იყო რუსეთსა და ბევრ სხვა პოსტ-კომუნისტურ ქვეყანაში, მაგრამ ზოგს მიაჩნია, რომ სიკვდილიანობა გამოწვეული იყო სტრესის ფაქტორებით. სტრესის ფაქტორები უკავშირდება საბაზრო ეკონომიკის გადასვლას, უმუშევრობის, შრომის მობილურობის, მიგრაციის, განქორწინების და შემოსავლის უთანასწორობის ზრდას. მაგრამ სტრესმა შეიძლება გამოიწვიოს გაზრდილი სიკვდილიანობა ალკოჰოლიზმის ზრდის გარეშე, ხოლო ალკოჰოლური სასმელების მოხმარების ზრდა შეიძლება მოხდეს სტრესის გარეშე. რუსულ შემთხვევაში, ალკოჰოლის გაზრდა შეიძლება დაკავშირებული იყოს 1990-იანი წლების დასაწყისში ალკოჰოლურ სასმელებზე ფასების შედარებით შემცირებასთან (Popov, 2018).

მეცნიერ ჰაასის მიხედვით, ზოგადი მოსაზრების თანახმად, განვითარება და მიგრაცია საბოლოო ჯამში ეფუძნება „ადგილის სარგებლიანობის“ თეორიას (place utility theories). თეორიის თანახმად, მწირი შემოსავლების ზონებიდან მაღლისკენ ხდება მოსახლეობის ტერიტორიული გადაადგილება. ასევე, საყოველთაოდ ცნობილია „push and pull“ ანუ მიზიდვა-განზიდვის თეორია (Haas, 2009), ხოლო ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია მიგრაციას განიხილავს, ძირითადად, როგორც გეოგრაფიული განსხვავებების ფუნქციას, კაპიტალთან შედარებით (მიწოდებისა და მოთხოვნის მიხედვით). განსხვავებული ანაზღაურების შედეგად, დაბალი ხელფასების მქონე სამუშაო ძალა იძულებულია გადავიდეს იმ რეგიონებში, სადაც მაღალი ხელფასია და ხდება შრომითი რესურსების გადატანა და ადგილი გვაქვს შრომის დეფიციტთან. ამ მოდელის სირთულეები მოიცავს მიგრაციის ხარჯებს და რისკებს და ის მიგრაციის ინტერპრეტაციას ახდენს, როგორც ინვესტიციას ადამიანურ კაპიტალში, რათა გასაგები იყოს შერჩევითი მიგრაცია (Bauer, Zimmerman, 1998; Sjaastad, 1962). ამ თვალსაზრისით, მიგრაციის ინდივიდუალური გადაწყვეტილებები მიიღება რაციონალურად მოაზროვნე სუბიექტების მიერ, რომლებიც ხელმძღვანელობენ ამჟამინდელ და ალტერნატიულ გეოგრაფიულ ადგილებში ხელფასის ღირებულების შედარებით. მიგრაცია ხდება მაშინ, როდესაც ადამიანური კაპიტალის ინვესტირების ანაზღაურების კარგი შანსია. ეს მიუთითებს იმაზე, რომ საჭიროა გადაიხედოს შრომითი ბაზრების სტრუქტურა, ასევე შემოსავლის დისტრიბუციები ორივე - გაგზავნის და მიღების საზოგადოებებთან, რათა უკეთ გასაგები იყოს შერჩევითი მიგრაცია (Haas, 2009).


### მეთოდოლოგია

საკვლევი საკითხის ანალიზისთვის შერჩეულია როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. საქართველოს და აღმოსავლეთ ევროპის პოსტსაბჭოთა ქვეყნების 1989 და 2014 წლების მოსახლეობის რაოდენობის ცვლილების წარმოჩენისთვის გამოყენებულია გაეროს ოფიციალური მონაცემები, რომლის საფუძველზე, თვალსაჩინო ხდება ქვეყნების დემოგრაფიული სიტუაცია და ხდება ამ საკითხის დაკავშირება ქვეყნების პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური განვითარების ტენდენციებთან. რაოდენობრივი კვლევის მეთოდს ასევე წარმოადგენს საქართველოს რეგიონებისა და ცალკეული ქალაქების მოსახლეობის რაოდენობის ცვლილების ანალიზი, რომლის მიხედვით, შესაძლებელია მსჯელობა ქალაქების ურბანიზაციის დონეზე, მათ ფუნქციებზე. ქვეყნის რეგიონების მოსახლეობის რაოდენობის შედარება იძლევა მოსახლეობის ეთნიკური ან რელიგიური სტრუქტურის ანალიზის შესაძლებლობას. რაც შეეხება თვისებრივ კვლევის მეთოდს, სტატიაში გამოყენებულია როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მეცნიერების ნაშრომები, მათ შორის ცნობილი სოციოლოგის, ჰაინ დე ჰაასის სტატია - მიგრაციებსა და სოციალურ ტრანსფორმაციაზე, რათა გამოიკვეთოს კავშირები მოხმობილ ლიტერატურასა და საკვლევ თემას შორის. ამის საფუძველზე, ლოგიკურია სხვადასხვა მეცნიერის სიღრმისეული დასკვნები დადებითად წაადგეს საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის ცვლილების საკითხს პოსტსაბჭოთა პერიოდში, რომელიც, თავის მხრივ, მეტად სპეციფიკური და კომპლექსური საკითხია, ვინაიდან ქართული ლიტერატურა ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციას თითქმის არ იძლევა, შესაბამისად, საკითხის ანალიზი ითხოვს უამრავ სხვადასხვა სამეცნიერო ნამუშევარს და მათ განხილვას, რათა დასკვნა იყოს საკვლევი საკითხის შესაბამისი.

**შედეგები**

ჩვენ მიერ მოპოვებული მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის ცვლილება 1989 და 2014 წლებში და გაეროს ოფიციალური ვებ-გვერდის (UNITED NATIONS DESA/POPULATION DIVISION) მონაცემები შევადაროთ სხვა პოსტსაბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს და ვნახოთ, თუ რომელმა მათგანმა განიცადა მოსახლეობის რაოდენობის მსგავსი დინამიკა. საქსტატის ოფიციალური ვებგვერდის მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოში მოსახლეობის რაოდენობა, 1989-2014 წლების პერიოდში, 31.78%-ით შემცირდა. მიუხედავად მოსახლეობის რაოდენობის შემცირებისა, საქართველოს მსგავსი მაჩვენებელი არცერთ ქვეყანაში არ დაფიქსირებულა. ყველაზე ახლოს საქართველოსთან მაჩვენებლით დგას ბოსნია და ჰერცეგოვინა და ლატვია. იმის მიუხედავად, რომ ბოსნია და ჰერცეგოვინაში იყო ფართომასშტაბიანი ომი, ქვეყანაში მოსახლეობის დანაკარგი მაინც არ აღემატება საქართველოში მოსახლეობის რაოდენობის ცვლილების მაჩვენებელს. რაც შეეხება აზერბაიჯანს, რომელიც საქართველოს სამეზობლო სივრცეში მდებარეობს, განსხვავდება ამ ქვეყნებისგან იმით, რომ აქ მოსახლეობის რაოდენობა 33.35%-ით გაიზარდა.


**მოსახლეობის რაოდენობის ცვლილება 1989-2014 წლებში პოსტსაბჭოთა სივრცისა და აღმოსავლეთ ევროპის რიგ სახელმწიფოებში**



\*აზერბაიჯანთან დაკავშირებით ინფორმაცია იხილეთ ტექსტში ნახ.1

წყარო : UNITED NATIONS DESA/POPULATION DIVISION

მოსახლეობის რაოდენობის ცვლილება 1989-2014 წლებში  
 პოსტსაბჭოთა სივრცისა და აღმოსავლეთ ევროპის რიგ სახელმწიფოებში (%)



ნახ.2

წყარო : UNITED NATIONS DESA/POPULATION DIVISION

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის ცვლილება რეგიონების მიხედვით 1989-2014 წლებში

თუ საქართველოს მოსახლეობას განვიხილავთ რეგიონების დონეზე, კარგად ჩანს, რომ მოსახლეობის რაოდენობა აბსოლუტურად ყველა რეგიონში შემცირდა 1989 წლიდან 2014 წლამდე (იხილეთ ცხრილი 1, უფრო დეტალური ინფორმაცია დანართ 1-ში). ყველაზე მეტად მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა რაჭა ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონში, ყველაზე ნაკლებად კი - თბილისში. აფხაზეთის არ-ის 2014 წლის მონაცემი არ მოგვეპოვება, ამიტომ შეუძლებელია გავიგოთ ამ რეგიონში მოსახლეობის რაოდენობის ცვლილება 1989 წლის შემდეგ. რაჭა ლეჩხუმი-ქვემო სვანეთში, სადაც მოსახლეობა შემცირდა 45%-ით, ფაქტიურად საქმე გვაქვს რეგიონის დეპოპულაციასთან. ეს ტენდენცია ახალი არ არის, დაახლოებით იგივე ხდებოდა საქართველოს ამ ნაწილში ათწლეულების მანძილზე, თუმცა მოსახლეობის კლება ასეთი ინტენსიური არ ყოფილა. მსგავსი სიტუაციაა მცხეთა-მთიანეთშიც, სადაც მოსახლეობა 39%-ით შემცირდა. აბსოლუტურ მაჩვენებლებში ყველაზე მეტი მოსახლეობა დაკარგა იმერეთმა - 232986 კაცი, მას მოსდევს ქვემო ქართლი - 184505, მხოლოდ მესამე ადგილზეა თბილისი 138219 ადამიანით. კახეთმა 122462 მოსახლე დაკარგა. 14 ქალაქსა და მუნიციპალიტეტში მოსახლეობის კლებამ 40 და მეტი პროცენტი შეადგინა, მ.შ. წალკაში, რომელიც თითქმის მთლიანად დაიცალა იქ მცხოვრები არაქართველი მოსახლეობისაგან, კლებამ შეადგინა 67%, ლენტეხში - 61%.

საქართველოს მთელი რიგი რეგიონების მუნიციპალიტეტებში მოსახლეობის შემცირებას ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ კრიზისამდე. მაგალითად, 1979 და 1989 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერებს შორის საქართველოს მოსახლეობა მთლიანად გაიზარდა 8.55%-ით, ხოლო ამ ზრდის თითქმის 3/4 (74.72%) იყო უზრუნველყოფილი სამი ადმინისტრაციული ერთეულით - დედაქალაქი თბილისით (მოსახლეობის მთლიანი ზრდის 45.30%), ქვემო ქართლით (20.52%) და აჭარის ავტონომიით (8.9%). ამ ფონზე რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მოსახლეობა შემცირდა 17.27%-ით, მ.შ. ონის მუნიციპალიტეტის -

20.49%-თ<sup>1</sup>. გურიის მოსახლეობა მთლიანად გაიზარდა, მაგრამ შემცირდა ჩოხატაურის მოსახლეობა. იგივე სიტუაციაა იმერეთში - მოსახლეობა გაიზარდა, მაგრამ თითქმის მთლიანად ქუთაისის ხარჯზე, ხოლო დარჩენილი 11-დან ის 8 მუნიციპალიტეტში შემცირდა. სამეგრელო-ზემო სვანეთში მოსახლეობის კლება აღინიშნებოდა 5 მუნიციპალიტეტში 9-დან, მ.შ. მესტიაში 15.28%-თ. მცხეთა-მთიანეთში მოსახლეობის კლებას ადგილი ჰქონდა 2 მუნიციპალიტეტში ოთხიდან. კახეთში მოსახლეობა დააკლდა ერთ მუნიციპალიტეტს რვიდან. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მოსახლეობა დააკლდა 4 მუნიციპალიტეტს ხუთიდან (ცხინვალის გარდა). ქვემო ქართლში მოსახლეობა შემცირდა დმანისში, თუმცა მთლიანად მხარეში მკვეთრად გაიზარდა, განსაკუთრებით რუსთავსა და მარნეულში.

### ცხრილი 1.

#### საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის ცვლილება რეგიონების მიხედვით 1989-2014 წწ

რეგიონები	მოსახლეობის რაოდენობა (კაცი) 1989წ.	მოსახლეობის რაოდენობა (კაცი) 2014წ.	მოსახლეობის რაოდენობის ცვლილება (%)
თბილისი	1 246 936	1 108 717	-11
აფხაზეთის არ	525 061	-	-
სამეგრელო-ზემო სვანეთი	424 746	330 761	-22
გურია	158 053	113 350	-29
აჭარის არ	392 432	333 953	-25
რაჭა ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	59 757	32 089	-45
იმერეთი	766 892	533 906	-31
სამცხე-ჯავახეთი	235 512	160 504	-33
შიდა ქართლი	321 598	263 382	-18
მცხეთა-მთიანეთი	133 864	94 573	-39
ქვემო ქართლი	608 491	423 986	-31
კახეთი	441 045	318 583	-28


<sup>1</sup> მხარეები და მუნიციპალიტეტები მოცემულია ქვეყნის თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესაბამისად.

საქართველო	5 443 359	3 713 804	-32
------------	-----------	-----------	-----

ნახ.3

\*1989 წელი მიჩნეულია 100%-ად.

წყარო: 1989 წლის მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის შედეგები; მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები.



ნახ.4

წყარო: 1989 წლის მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის შედეგები; მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები.

ცხრილი 2. საქართველოს მოსახლეობის განაწილება რეგიონების მიხედვით 1989-2014 წწ

რეგიონები	მოსახლეობის რაოდენობა 1989 წელი	მოსახლეობის წილი 1989 წ. (%)	მოსახლეობის რაოდენობა 2014 წელი	მოსახლეობის წილი 2014წ. (%)
თბილისი	1 246 936	22.90	1 108 717	29.85
აფხაზეთის არ	525 061	9.64	-	-
სამეგრელო-ზემო სვანეთი	424 746	7.80	330 761	8.90
გურია	158 053	2.90	113 350	3.05
აჭარის არ	392 432	7.20	333 953	8.99
რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	59 757	1.09	32 089	0.86

იმერეთი	766 892	14.08	533 906	14.37
სამცხე-ჯავახეთი	235 512	4.32	160 504	4.32
შიდა ქართლი	321 598	5.90	263 382	7.09
მცხეთა-მთიანეთი	133 864	2.45	94 573	2.54
ქვემო ქართლი	608 491	11.17	423 986	11.41
კახეთი	441 045	8.10	318 583	8.57
<b>საქართველო სულ</b>	<b>5 443 359</b>	<b>100.0</b>		<b>100</b>

ნახ.5

წყარო: 1989 წლის მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის შედეგები; მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები.

ისტორიულად საქართველოს მოსახლეობა ქვეყნის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებს შორის საკმაოდ არათანაბრად იყო განაწილებული, ძირითადად დედაქალაქის, თბილისის ხარჯზე. 1989-2014 წლებში მოხდა მოსახლეობის განსახლების სურათის ხილული ცვლილება. დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის წილი ქვეყნის მთლიან მოსახლეობაში შემცირდა 35.%-დან 27.1%-მდე, ხოლო აბსოლუტურ მაჩვენებლებში მოსახლეობა აქ 48%-თ შემცირდა ამავე პერიოდში, ძირითადად, აფხაზეთის დაკარგვის გამო.


ამავე დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა დედაქალაქის წილი ქვეყნის მთლიან მოსახლეობაში, თითქმის 30%-მდე. შესამჩნევად გაიზარდა აგრეთვე სამეგრელოს, აჭარისა და შიდა ქართლის მოსახლეობის წილი. ცალკეული მუნიციპალიტეტებისა და საქალაქო დასახლებებიდან, გაიზარდა, მაგალითად, რუსთავის წილი 2.2%-დან 3.5%-მდე, თუმცა მთლიანობაში ყველა ამ ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის რაოდენობა იმდენად მცირეა რეგიონებთან და განსაკუთრებით დედაქალაქთან შედარებით, რომ განსახლების მთლიან სურათზე ისინი ხილულ გავლენას ვერ ახდენენ. გამონაკლისს ამ შემთხვევაში წარმოადგენს მხოლოდ ქ. ბათუმი, სადაც განსახილველ პერიოდში მოსახლეობა თითქმის 12%-თ გაიზარდა, მისი წილი ქვეყნის მოსახლეობაში კი 2.5%-დან 4.1%-მდე. მაგრამ ბათუმს პირველად 2009 წელს შეუერთეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ნაწილი, შემდეგ მეორედ, 2011 წელს ისევ ხელვაჩაურის და დამატებით ქობულეთის მუნიციპალიტეტების ნაწილები. შესაბამისად, ძნელია იმის დადგენა, რის ხარჯზე მოხდა ძირითადად მოსახლეობის ასეთი მკვეთრი ზრდა. თუმცა, თუ განვიხილავთ აჭარის სანაპირო ზოლის სამივე ადმინისტრაციული ერთეულების მოსახლეობას (ქ. ბათუმი, ხელვაჩაურის და ქობულეთის მუნიციპალიტეტები), მათი ჯამური მოსახლეობა 1989-2014 წლებში 10%-თ შემცირდა (308278 მოსახლიდან 278822-მდე). ე.ი. საკუთრივ ბათუმის მოსახლეობის პოზიტიური დინამიკა უმეტესწილად, როგორც ჩანს, ადმინისტრაციული საზღვრების ცვლილებით იყო გამოწვეული.

**საქართველოს ქალაქების მოსახლეობის რაოდენობის და ურბანიზაციის დონეების ცვლილება 1989-2014 წლებში**

რეგიონული თვალსაზრისით, საქართველოში საქალაქო მოსახლეობის რაოდენობის ცვლილება არაერთგვაროვნად მოხდა. 1989 და 2014 წლების მოსახლეობის რაოდენობა აბსოლუტურად ყველა რეგიონში შემცირდა, 2014 წლის აფხაზეთის არ-ის მონაცემი არ მოგვეპოვება. მიუხედავად ყველა რეგიონში მოსახლეობის რაოდენობის შემცირებისა, საქართველოს საქალაქო მოსახლეობის წილმა რეგიონების მიხედვით 1989 და 2014 წლების პერიოდში აჭარის არ-სა და რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის რეგიონებში მოიმატა. დანარჩენ რეგიონებში საქალაქო მოსახლეობის შემცირება გამოიხატება.

2014 წლის აღწერის შესაბამისად, საქართველო მთლიანობაში მოითვლიდა 93 საქალაქო დასახლებას, მ.შ. 54 საკუთრივ ქალაქს და 39 დაბას საერთო მოსახლეობით 2122623 ადამიანი. ქალაქებზე მოდიოდა ამ მოსახლეობის 95.9%. საქალაქო მოსახლეობა განსახილველ პერიოდში შემცირდა 30.1%-ით, რაც ნაკლებია ვიდრე სასოფლო მოსახლეობის კლება, რომელმაც შესაბამისად 33.9% შეადგინა.

**1989-2014 წლის პერიოდში საქალაქო მოსახლეობის წილებს შორის ცვლილება (%) , საქართველოს რეგიონების მიხედვით**



წყარო: 1989 წლის მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის შედეგები; მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები

მნიშვნელოვანია საქართველოს ცალკეული ქალაქების მოსახლეობის რაოდენობის ცვლილება 1989 წლიდან 2014 წლამდე. საქალაქო დასახლებების მოსახლეობის რაოდენობა ორი ქალაქის გარდა, ყველგან შემცირდა. მოსახლეობამ მოიმატა ორ ქალაქში: ბათუმში - 11.88%-ით და

წნორში - 65.41%-ი. წნორში მოსახლეობის ასეთი ზრდა განპირობებული იყო მისთვის ორი სოფლის მიერთებით. შესაბამისად, შეიძლება ჩაითვალოს, რომ მოსახლეობის რეალურ ზრდას, ისიც საკმაოდ პირობითად, ადგილი ჰქონდა მხოლოდ ბათუმში.

მოსახლეობის რაოდენობის შემცირების დიაპაზონი საქართველოს ცალკეულ ქალაქებსა და დაბებში 1.58%-დან 84.90%-მდე მერყეობს. 50 და მეტი პროცენტით მოსახლეობა შემცირდა 10 ქალაქში. ყველაზე მეტად ეს დაეტყო ქვემო ქართლის მხარეს, სადაც ასეთ შემცირებას ადგილი ჰქონდა 4 ქალაქში შვიდიდან, მ.შ. წალკაში 71.2%-ით, დმანისში 69.2%-ით, თეთრიწყაროში 64.3%-ით. მოსახლეობის ასეთივე დიდი ვარდნაა წალენჯიხაში - 67.7% (სამეგრელო-ზემო სვანეთი), საგრძნობლად დაზარალებულნი აგრეთვე ოზურგეთი (გურია)- 56.3% და იმერეთის ისეთი მონო ქალაქები, როგორცაა ჭიათურა - 56% და ტყიბული - 55.3%. მხოლოდ 5 ქალაქში, მ.შ. თბილისში, დაფიქსირდა კლება 10-20%-ის დიაპაზონში და მხოლოდ ერთ პატარა ქალაქში, სიღნაღში, მოსახლეობის რაოდენობა თითქმის არ შეცვლილა (-1.58%). მოსახლეობის კლების აბსოლუტური მაქსიმუმი დაფიქსირდა დაბა ჯვარში (სამეგრელო ზემო სვანეთი) - 84.9%.

1989 და 2014 წლების მოსახლეობის რაოდენობის ცვლილების გამოსაკვეთად მოვიშველიეთ გაეროს მიერ დადგენილი საქალაქო დასახლებების კლასიფიკაცია მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით(United Nations Statistics Division). ქალაქების სიდიდე მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით იყოფა შემდეგნაირად:

0-200 მცხოვრები, 200-499 მცხოვრები, 500-999 მცხოვრები, 1 000-1 999 მცხოვრები, 2 000-4 999 მცხოვრები, 5 000-9 999 მცხოვრები, 10 000-19 999 მცხოვრები, 20 000-49 999 მცხოვრები, 50 000-99 999 მცხოვრები, 100 000-499 000 მცხოვრები, 500 000 და მეტი მცხოვრები.

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 1989 წელს საქალაქო დასახლებების სიდიდის მიხედვით იყოფა შემდეგნაირად: მილიონიანი ქალაქი იყო მხოლოდ თბილისი, 100 000-499 000 მოსახლე ცხოვრობდა მხოლოდ სამ ქალაქში: ბათუმში, ქუთაისსა და რუსთავში. ასეა ზუსტად 2014 წელსაც. საქართველოს დედაქალაქი 2014 წელს თავისი ზომით მნიშვნელოვნად - 7-ჯერ აღემატებოდა სიდიდით მეორე ქალაქს ბათუმს, და შესაბამისად უფრო მეტად ქუთაისსა და რუსთავს. ასეთი მდგომარეობა მსოფლიოში უნიკალური არ არის და ფიქსირდება ბევრ საკმაოდ ცენტრალიზებულ ქვეყანაში, მაგალითად, იგივე საფრანგეთსა და გაერთიანებულ სამეფოში. ამავე დროს ეს განსხვავება პირველსა და მეორე ქალაქს შორის მკვეთრად გაიზარდა. 1989 წელს თბილისი ქუთაისს, რომელიც ამ დროს ქვეყნის სიდიდით მეორე ქალაქი იყო, 5.3-ჯერ აღემატებოდა.

1989 წელს 50 000-99 999 მცხოვრები იყო სამ ქალაქში: ზუგდიდში, ფოთსა და გორში, 2014 წელს კი საქართველოს არცერთ ქალაქში არ ცხოვრობდა 50 000-99 999 მცხოვრები. 20 000-49 999 მცხოვრები 1989 წელს იყო 15 ქალაქში, 2014 წელს - 9 ქალაქში, 10 000-19 999 მცხოვრები 1989 წელს იყო 13 ქალაქში, ხოლო 2014 წელს - 11 ქალაქში, 5 000-9 999 მცხოვრები 1989 წელს იყო 16 საქალაქო დასახლებაში, 2014 წელს - 20-ში, 2 000-4 999 მცხოვრები 1989 წელს იყო 3 დასახლებაში, 2014 წელს - 14-ში, 1 000-1 999 მცხოვრები 1989 წელს არცერთ საქალაქო დასახლებაში არ ფიქსირდება, ხოლო 2014 წელს - 1 ქალაქია ასეთი - ცაგერი, 500-999 მცხოვრები 1989 წელს არცერთ საქალაქო დასახლებაში არ ფიქსირდება, ხოლო 2014 წელს ასეთია დაბა ჯვარი.

საქალაქო დასახლებებს შორის მოსახლეობის ასეთმა გადანაწილებამ გამოიწვია ის, რომ დედაქალაქის წილი საქალაქო მოსახლეობაში გაიზარდა 41.6%-დან 1989 წელს, 50%-მდე 2014 წელს. აგრეთვე გაიზარდა სიდიდით მომდევნო სამი ქალაქის (ბათუმის, ქუთაისის, რუსთავის) ხვედრითი წილი მთლიან საქალაქო მოსახლეობაში 17.5%-დან 20%-მდე. თუმცა ეს ძირითადად მოხდა ბათუმის მოსახლეობის ზრდის ხარჯზე. ხოლო მთლიანობაში, ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება ქვეყნის საქალაქო დასახლებების სისტემაში ამ პერიოდში გამოწვეული იყო ქუთაისის მიერ ქვეყნის მეორე ქალაქის სტატუსის დათმობით ბათუმისთვის. ყურადსაღებია ისიც, რომ აღმოსავლეთ საქართველოში თბილისი, თავისი სტატუსის გამო, პრაქტიკულად ყველა სხვა საქალაქო დასახლებას თრგუნავს, ხოლო რუსთავი, სიდიდით მეორე ქალაქი ქვეყნის ამ ნაწილში, დედაქალაქის საქალაქო აგლომერაციის ნაწილი და ფაქტიურად მისი გარეუბანია. შესაბამისად მთლიანად დასავლეთ საქართველოში 2014 ცხოვრობდა ქვეყნის საქალაქო მოსახლეობის მხოლოდ 16.4% (347925 ადამიანი). მაგრამ ამ მოსახლეობის 86.4% მოდიოდა ორ ქალაქზე - ბათუმსა და ქუთაისზე.

**ცხრილი 3. ურბანიზაციის დონე საქართველოს რეგიონების მიხედვით 1989-2014 წწ**

რეგიონები	საქალაქო მოსახლეობის წილი (%) 1989წ.	საქალაქო მოსახლეობის წილი (%) 2014წ.	საქალაქო მოსახლეობის წილებს შორის ცვლილება (%)
თბილისი <sup>2</sup>	99.99	97.25	-2.75
აფხაზეთის არ	47.14	-	-
სამეგრელო-ზემო სვანეთი	40.19	39.11	-2.68
გურია	28.59	28.14	-1.57
აჭარის არ	46.19	55.32	19.77
რაჭა ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	21.04	21.72	3.23
იმერეთი	53.35	48.41	-9.26
სამცხე-ჯავახეთი	36.58	34.05	-6.92
შიდა ქართლი	42.25	39.94	-5.47
მცხეთა-მთიანეთი	28.53	22.47	-21.24
ქვემო ქართლი	44.53	42.48	-4.6
კახეთი	22.74	22.45	-1.27

<sup>2</sup> თბილისში ურბანიზაციის დონე ფორმალურად იმიტომ შემცირდა, რომ განსახილველ პერიოდში მას შეუერთეს 22 სოფელი. დამატებით, საკუთრივ დედაქალაქის გარდა, თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში 4 დაბაც შედის.

საქართველო	55.38	57.15	3.19
------------	-------	-------	------

\*1989 წელი მიჩნეულია 100%-ად

წყარო: 1989 წლის მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის შედეგები; მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები.

საქართველო არასოდეს გამოირჩეოდა ურბანიზაციის მაღალი დონით. 1989 წელს აქ საქალაქო დასახლებებში მოსახლეობის მხოლოდ 55.38% ცხოვრობდა და ურბანიზაციის ეს დონე განპირობებული იყო ძირითადად თბილისის არსებობით. ქვეყნის რეგიონებს შორის მხოლოდ იმერეთის ურბანიზაციის დონე აღემატებოდა 50%-ს (იხილეთ ცხრილი 3). ძალზე დაბალი იყო ის რაჭა ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთში, გურიაში. 2014 წლისთვის მდგომარეობა, ფაქტობრივად, არ შეცვლილა, გარდა იმისა, რომ იმერეთი, როგორც ყველაზე მაღალურბანიზებული რეგიონი აჭარამ ჩაანაცვლა. გასაგებია, რომ მთლიანად ურბანიზაციის დონე ქვეყანაში გაიზარდა 57.15%-მდე, იმის ხარჯზე, რომ სოფლის მოსახლეობა უფრო მეტად შემცირდა, ვიდრე ქალაქის.

აღსანიშნავია ქალაქის მოსახლეობის და ურბანიზაციის დონის ცვლილება 1989-2014 წლებში კონკრეტული მუნიციპალიტეტების მაგალითზე. აქ სიტუაცია ისეთი ერთგვაროვანი არ არის, როგორც რეგიონების დონეზე. უპირველეს ყოვლისა, ძნელია საუბარი ურბანიზაციაზე ისეთ მუნიციპალიტეტებში, სადაც საქალაქო მოსახლეობა მხოლოდ უკიდურესად მცირე დაბებით არის წარმოდგენილი, რომლებიც სოფლებისგან ძირითადად მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციის განთავსებით განსხვავდებიან. ასეთია, მაგალითად, აჭარაში შუახევის (ცენტრი დაბა შუახევი 797 მოსახლით 2014 წელს), ხულოს (ცენტრი დაბა ხულო 1007 მოსახლით) ან ქედის მუნიციპალიტეტი (ცენტრი დაბა ქედა 1510 მოსახლით). ასეთი საქართველოში სულ 11 იყო, მათგან მხოლოდ 3 აღმოსავლეთ საქართველოში<sup>3</sup>.

რაც შეეხება იმ მუნიციპალიტეტებს, რომელთა ცენტრი ქალაქით იყო წარმოდგენილი, აქ რაიმე ტენდენციის გამოვლენა ძნელია. ურბანიზაციის დონეები, როგორც 1989, ასევე 2014 წლებში ძირითადად ძალიან დაბალია. თუმცა არის რამდენიმე შესამჩნევი გამონაკლისი, როდესაც ის 50%-ს აღემატება. ასეთია, მაგალითად, ზუგდიდი (სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი), სადაც ურბანიზაციის დონე განსახილველ პერიოდში 39.8%-დან 68.7%-მდე გაიზარდა, როგორც ჩანს ძირითადად აფხაზეთიდან ლტოლვილი მოსახლეობის ხარჯზე. მაღალია საქალაქო მოსახლეობის წილი ხაშურის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლი) – 63.9% 2014 წელს, ბორჯომში (სამცხე-ჯავახეთი) – 60.1%, სამტრედიიაში (იმერეთი) – 55.6%, სენაკში (სამეგრელო-ზემო სვანეთი) 54.4%<sup>4</sup>.

მუნიციპალიტეტების უდიდეს უმეტესობაში საქალაქო მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში ძირითადად არა მარტო 25-ზე, 20%-ც კი ნაკლებია და კლებით გამოირჩევა. იქაც

<sup>3</sup> როგორც ჩანს, იგივე შეიძლება ითქვას ბევრ სხვა მცირე დასახლებულ პუნქტზეც, რომლებიც ფორმალურად ქალაქის სტატუსს ატარებენ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დროს ქალაქებს კი არ ანიჭებდნენ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ცენტრის სტატუსს, არამედ პირიქით, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის პროცესში ახალი ადმინისტრაციული რაიონების ცენტრებს ანიჭებდნენ ქალაქის სტატუსს განურჩევლად იმისა, შეეძლოთ თუ არა მათ ამ ფუნქციის აღსრულება.

<sup>4</sup> შესაძლებელია ესეც ლტოლვილთა ხარჯზე.

კი, სადაც ამ მოსახლეობის წილი შედარებით მაღალია, ეს პროპორცია განპირობებულია როგორც ჩანს იმით, რომ განსახილველ მუნიციპალიტეტებში სოფლის მოსახლეობის გადინება დიდია, და დარჩენილი მცირერიცხოვანი მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი მის ცენტრში იყრის თავს. მაგალითად, ქ. ონში (რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი) 2014 წლის აღწერით სულ 2656 მოსახლე ირიცხებოდა, მაგრამ ეს მთელი მუნიციპალიტეტის 43.3% იყო. ამავე დროს დარჩენილი 63 დასახლებული პუნქტიდან ნაწილი საერთოდ მოსახლეობის გარეშე იყო დარჩენილი, უდიდეს უმეტესობაში არა მარტო ასზე, 50-ზე ნაკლები მოსახლე იყო. მხოლოდ 4 სოფელში ცხოვრობდა 200-ზე მეტი ადამიანი (მ.შ. ყველაზე დიდში, გლოლაში 279).

## დასკვნა

საქართველოს მოსახლეობის ტერიტორიული გადაადგილების ცვლილების საკითხები კომპლექსურია და მოიცავს რამდენიმე საკვანძო ასპექტს. პირველ რიგში, სტატისტიკური მასალების შედარების საფუძველზე გამოიკვეთა საქართველოს მოსახლეობის შემცირების ანტირეკორდი 1989-2014 წლებში, მთელს აღმოსავლეთ ევროპასა და პოსტსაბჭოთა სივრცეში. ამ პროცესში მნიშვნელოვნად შეიცვალა მოსახლეობის ტერიტორიული კონცენტრაცია, რომელიც განსაკუთრებით გამოიხატა საქალაქო დასახლებებში. მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა საქართველოს ყველა რეგიონში, თუმცა ამავდროულად გაიზარდა საქალაქო მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში. მონაცემთა დამუშავების საფუძველზე შეგვიძლია რამდენიმე დასკვნა გამოვიტანოთ.

მოსახლეობის (მთლიანი და საქალაქო) დინამიკა ქვეყნის მასშტაბით ზუსტად ასახავს იმ ნეგატიური პროცესებს, რომელიც განვითარდა საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ.

ამ პროცესების შედეგად საქართველოს არც ერთ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს არ განუცდია პოზიტიური ცვლილებები მოსახლეობის დინამიკისა და გადაადგილების თვალსაზრისით. ერთადერთი გამონაკლისი ამ შემთხვევაში შესაძლებელია ბათუმი იყოს, მაგრამ აქაც 2014 წლისათვის მოსახლეობის მატების რეალური მიზეზები დამატებით კვლევას მოითხოვს.

მოსახლეობის ნეგატიური დინამიკის თვალსაზრისით ფრიად საყურადღებოა ქუთაისის მიერ მოსახლეობის რაოდენობით მეორე ქალაქის სტატუსის დაკარგვა.

საქართველოს განვითარების თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანია როგორც მთლიანი, ისე საქალაქო მოსახლეობის ზეკონცენტრაცია დედაქალაქში, რაც ნეგატიურად უნდა აისახოს ქვეყნის სხვა რეგიონებსა და საქალაქო დასახლებებზე, რადგან ამ პროცესში ავტომატურად ხდება რესურსების, განსაკუთრებით კვალიფიცირებული კადრების გადინება მისი მიმართულებით. ამ ტენდენციის დაძლევა მოითხოვს ხელისუფლების მიზანდასახულ ჩარევას ალტერნატიული ზრდის ცენტრების განსავითარებლად. პოლიტიკა, რომელმაც დღეისთვის, როგორც ჩანს, იმუშავა ბათუმში (და მთლიანად აჭარის სანაპიროზე), არ მუშაობს ქუთაისში.

მნიშვნელოვანია აგრეთვე მთელი რიგი მუნიციპალიტეტებისა და საქალაქო დასახლებების დეპოპულაცია იქიდან არაქართველი მოსახლეობის მასობრივი ემიგრაციის ხარჯზე (ქვემო ქართლი).

მოსახლეობისგან იცლება საქართველოს პატარა და საშუალო ქალაქები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც არ წარმოადგენდნენ არც ტურისტულ და არც სამრეწველო ზონებს. 1989-2014 წლებში მკვეთრად შეიცვალა ქალაქების კლასიფიკაციაც მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით. თუ მაგალითად 1989 წელს 50 000-99 999 მცხოვრები იყო სამ ქალაქში, 2014 წელს საქართველოს არცერთ ქალაქში არ ცხოვრობდა 50 000-99 999 მოსახლე. 20 000-49 999 მცხოვრები კატეგორია 2014 წლისათვის შემცირდა 6 ქალაქით. 10 000-19 999 მცხოვრები კატეგორია შემცირდა 2 ქალაქით, 5 000-9 999 კატეგორიაც შემცირდა 2 ქალაქით. 2 000-4 999 მცხოვრები კატეგორია თუ 1989 წელს იყო 3 ქალაქში, 2014 წელს 14 ქალაქი გვხვდება. 1 000-1 999 მცხოვრები 1989 წელს არცერთ ქალაქში ფიქსირდება, ხოლო 2014 წელს - 1 ქალაქია ასეთი. 500-999 მცხოვრები 1989 წელს არცერთ საქალაქო დასახლებულ პუნქტში ფიქსირდება, ხოლო 2014 წელს ასეთი ერთია. მდგომარეობა ამართლებს ნეოკლასიკურ ეკონომიკურ თეორიას, რომლის თანახმადაც, დაბალი შემოსავლების ზონებიდან მალისკენ ხდება მოსახლეობის ტერიტორიული გადაადგილება. პრობლემა იმაშია, რომ თბილისის გარდა, 2014 წლისათვის საქართველოში ასეთი თითქმის არ მოიპოვებოდა, გარდა იმ რეგიონებისა, სადაც მოხდა ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება. ასეთია სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სადაც 2007 წელს ჩატარდა სარესტავრაციო სამუშაოები და ტურისტთა რაოდენობამ განსაკუთრებით მოიმატა. მაგრამ სიღნაღი ფრიად პატარაა იმისთვის, რომ ქვეყნის დონეზე მოსახლეობის განვითარებაზე რაიმე გავლენა მოახდინოს, თუმცა სახელმწიფოს მიერ რეგიონული განვითარების წარმატებული პოლიტიკის მაგალითად შეიძლება იყოს გამოყენებული (სიღნაღში და წნორში ერთად სულ 6300 ადამიანი ცხოვრობდა). ამას ემატება იგივე ბათუმი, რომელზეც ზემოთ იყო საუბარი. მოსახლეობის დადებითი რეგიონული განვითარების სხვა მაგალითი 2014 წლისთვის არ მოიპოვება.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

- 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა, მოსახლეობა და დემოგრაფია, არსებული მდგომარეობის მიმოხილვა - ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა . თბილისი 2014 წ. გვ.8
- 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა, მოსახლეობა და დემოგრაფია, არსებული მდგომარეობის მიმოხილვა - ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა . თბილისი 2014 წ. გვ. 9
- ჰაკერტი,რ - მოსახლეობის დინამიკა საქართველოში . შიდა და იძულებით გადაადგილებული პირები. 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა, (2017) გვ.55
- მელაძე, გ. „საქართველო და გლობალური დემოგრაფიული პრობლემები“, თბილისი (2013წ), გვ.26
- Зубаревич, Н. Можно ли решить проблему моногородов „РЕГИОНЫ РОССИИ, НЕРАВЕНСТВО, КРИЗИС, МОДЕРНИЗАЦИЯ, Москва (2010) ст.93
- Popov V. Mortality and life expectancy in post-communist countries (2018), <https://doc-research.org/de/2018/06/mortality-life-expectancy-post-communist-countries/>

- Hein de Haas. Migration transitions a theoretical and empirical inquiry into the developmental drivers of international migration, International Migration Institute James Martin 21st Century School Oxford Department of International Development University of Oxford. Paper presented at XXVI I USSP International Population Conference Session 195: International labour migration: Trends, policies and legal issues Thursday, 2 October 2009, Marrakech, Morocco. p.4
- Hein de Haas. Migration transitions a theoretical and empirical inquiry into the developmental drivers of international migration, International Migration Institute James Martin 21st Century School Oxford Department of International Development University of Oxford. Paper presented at XXVI I USSP International Population Conference Session 195: International labour migration: Trends, policies and legal issues Thursday, 2 October 2009, Marrakech, Morocco. p.4
- UNITED NATIONS DESA/POPULATION DIVISION <https://population.un.org/wpp/DataQuery/>
- (<https://unstats.un.org/unsd/demographic/sconcerns/densurb/densurbmethods.htm>).
- 1989 წლის მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის შედეგები
- მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები, სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2016 წელი
- United Nations Statistics Division  
<https://unstats.un.org/unsd/demographic/sconcerns/densurb/densurbmethods.htm>

## დანართი

\*2014 წელს აფხაზეთის არ-ის მონაცემები არ მოგვეპოვება.

ადმინისტრაციული ერთეული	1989 წელი	2014 წელი	მოსახლეობის რაოდენობის ცვლილება 1989- 2014 წლებში (%)
საქართველო	5,443,359	3,713,804	-32
ქ. თბილისი	1,263,489	1,108,717	-22
აჭარის არ	392,707	333,953	-25
ქ. ბათუმი	136,609	152,839	11
ქედის მუნიციპალიტეტი	19,928	16,760	-26
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	88,107	74,794	-26
შუახევის მუნიციპალიტეტი	25,113	15,044	-41
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი*	83,562	51,189	-39
ხულოს მუნიციპალიტეტი	39,388	23,327	-41
გურია	158,526	113,350	-29
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	41,891	31,486	-25
ქ. ოზურგეთი	90,040	48,078	-47
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	26,595	19,001	-29
იმერეთი	772,251	533,906	-31
ქ. ქუთაისი	234,870	147,635	-38
ბაღდათის მუნიციპალიტეტი	29,053	21,582	-26
ვანის მუნიციპალიტეტი	35,369	24,512	-31
ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	75,539	57,628	-24
თერჯოლის მუნიციპალიტეტი	44,019	35,563	-19
სამტრედიის მუნიციპალიტეტი	64,504	48,562	-25
საჩხერის მუნიციპალიტეტი	44,968	37,775	-16

ტყიბულის მუნიციპალიტეტი	36,686	20,839	-43
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	75,061	56,883	-24
ჭიათურის მუნიციპალიტეტი	68,501	39,884	-42
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	28,702	19,473	-32
ხონის მუნიციპალიტეტი	34 979	23,570	-33
<b>კახეთი</b>	442,296	318,583	-28
ახმეტის მუნიციპალიტეტი	42,254	31,461	-26
გურჯაანის მუნიციპალიტეტი	78,442	54,337	-31
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	37,299	21,221	-43
ქ. თელავი*	77,988	38,721	-
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	54,402	41,678	-24
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	60,348	51,761	-12
სიღნაღის მუნიციპალიტეტი	49,326	29,948	-39
ყვარლის მუნიციპალიტეტი	42,237	29,827	-39
<b>მცხეთა-მთიანეთი</b>	134,132	94,573	-39
დუშეთის მუნიციპალიტეტი	37,390	25,659	-31
თიანეთის მუნიციპალიტეტი	15,128	9,468	-37
ქ. მცხეთა*	63,123	47,711	-
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	6,411	3,795	-41
<b>რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი</b>	57,776	32,089	-45
ქ. ამბროლაური *	17,065	9,139	-
ლენტეხის მუნიციპალიტეტი	11,227	4,386	-61
ონის მუნიციპალიტეტი	12,318	6,130	-50
ცაგერის მუნიციპალიტეტი	17,166	10,387	-40
<b>სამეგრელო-ზემო სვანეთი</b>	425,473	330,761	-22
ქ. ფოთი	50,922	41,465	-19

აბაშის მუნიციპალიტეტი	28,219	22,341	-21
ქ. ზუგდიდი *	125,444	62,511	-
მარტვილის მუნიციპალიტეტი	46,009	33,463	-28
მესტიის მუნიციპალიტეტი	14,776	9,316	-37
სენაკის მუნიციპალიტეტი	52,681	39,652	-25
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	29,840	22,309	-25
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	38,643	26,158	-28
ხოზის მუნიციპალიტეტი	38,939	30,548	-22
<b>სამცხე-ჯავახეთი</b>	238,750	160,504	-33
ადიგენის მუნიციპალიტეტი	21,284	16,462	-23
ასპინძის მუნიციპალიტეტი	13,262	10,372	-22
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	69,256	45,070	-35
ქ. ახალციხე *	54,747	20,992	-
ბორჯომის მუნიციპალიტეტი	41,266	25,214	-39
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	38,935	24,491	-38
<b>ქვემო ქართლი</b>	612,880	423,986	-31
ქ. რუსთავი	158,661	125,103	-21
ბოლნისის მუნიციპალიტეტი	81,920	53,590	-35
გარდაბნის მუნიციპალიტეტი	115,140	81,876	-29
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	36,432	21,127	-43
მარნეულის მუნიციპალიტეტი	124,332	104,300	-16
წალკის მუნიციპალიტეტი	44,187	18,849	-67
<b>შიდა ქართლი</b>	322,423	263,382	-18
ქ. გორი	149,759	77,549	-
კასპის მუნიციპალიტეტი	55,416	43,771	-22
ქარელის მუნიციპალიტეტი	50,428	41,316	-18

ხაშურის მუნიციპალიტეტი	66,820	52,603	-21
------------------------	--------	--------	-----

ადმინისტრაციული ერთეული	1989 წელი	2014 წელი	ქალაქის მოსახლეობის რაოდენობის ცვლილება 1989-2014 წლებში (%)
საქართველო	3,035,748	2,122,623	-31
ქ. თბილისი	1,263,368	1,078,297	-25
აჭარის არ	181,768	184,774	1
ქ. ბათუმი	-	152,839	11
ქედის მუნიციპალიტეტი	1,197	1,510	26
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	33,139	28,621	-24
შუახევის მუნიციპალიტეტი	886	797	-11
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი*	8,806	-	-
ხულოს მუნიციპალიტეტი	1,131	1,007	-11
გურია	45,500	31,904	-30
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	9,021	6,395	-30
ქ. ოზურგეთი	33,846	8,909	-74
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	2,633	1,815	-31
იმერეთი	416,571	258,510	-38
ქ. ქუთაისი	234,870	147,635	-38
ბაღდათის მუნიციპალიტეტი	5,465	3,707	-33
ვანის მუნიციპალიტეტი	6,576	3,744	-44
ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	27,841	20,814	-26
თერჯოლის მუნიციპალიტეტი	6,580	4,644	-29
სამტრედიის მუნიციპალიტეტი	37,429	27,020	-28

საჩხერის მუნიციპალიტეტი	7,842	6,140	-22
ტყიბულის მუნიციპალიტეტი	21,867	9,770	-57
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	21,280	11,281	-47
ჭიათურის მუნიციპალიტეტი	29228	12,803	-56
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	3,168	1,965	-38
ხონის მუნიციპალიტეტი	14,425	8,987	-38
<b>კახეთი</b>	102,062	71,526	-30
ახმეტის მუნიციპალიტეტი	8,970	7,105	-21
გურჯაანის მუნიციპალიტეტი	12,872	8,024	-38
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	10,249	5,940	-42
ქ. თელავი*	28,325	-	-
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	9,517	5,918	-38
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	14,563	10,871	-25
სიღნაღის მუნიციპალიტეტი	6,401	6,300	-2
ყვარლის მუნიციპალიტეტი	11,165	7,739	-31
<b>მცხეთა-მთიანეთი</b>	38,871	21,259	-45
დუშეთის მუნიციპალიტეტი	14,488	9,143	-37
თიანეთის მუნიციპალიტეტი	4,753	2,850	-40
ქ. მცხეთა*	14,882	-	-
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	1,957	1,326	-32
<b>რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი</b>	12,492	6,970	-44
ქ. ამბროლაური *	2,959	0	-
ლენტეხის მუნიციპალიტეტი	1,995	947	-53
ონის მუნიციპალიტეტი	5,481	2,656	-52
ცაგერის მუნიციპალიტეტი	2,057	1,320	-36
<b>სამეგრელო-ზემო სვანეთი</b>	171,982	129,391	-25

ქ. ფოთი	-	41,465	-19
აბაშის მუნიციპალიტეტი	7,139	4,941	-31
ქ. ზუგდიდი *	50,022	-	-
მარტვილის მუნიციპალიტეტი	6,036	4,425	-27
მესტიის მუნიციპალიტეტი	2,785	1,973	-29
სენაკის მუნიციპალიტეტი	29,161	21,596	-26
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	4,770	3,141	-34
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	14,274	4,610	-68
ხოზის მუნიციპალიტეტი	6,873	4,242	-38
<b>სამცხე-ჯავახეთი</b>	88,980	54,663	-39
ადიგენის მუნიციპალიტეტი	3,870	1,720	-56
ასპინძის მუნიციპალიტეტი	3,711	2,793	-25
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	15,572	8,295	-47
ქ. ახალციხე *	30,875	3,646	-
ბორჯომის მუნიციპალიტეტი	27,667	15,162	-46
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	7,285	5,144	-30
<b>ქვემო ქართლი</b>	272,178	180,118	-34
ქ. რუსთავი	158,661	125,103	-21
ბოლნისის მუნიციპალიტეტი	24,878	13,817	-45
გარდაბნის მუნიციპალიტეტი	23,137	10,753	-54
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	12,705	4,534	-65
მარნეულის მუნიციპალიტეტი	33,602	20,211	-40
წალკის მუნიციპალიტეტი	10,545	3,039	-71
<b>შიდა ქართლი</b>	138,217	105,211	-24
ქ. გორი	68,924	-	-
კასპის მუნიციპალიტეტი	17,305	13,423	-23

ქარელის მუნიციპალიტეტი	12,770	10,018	-22
ხაშურის მუნიციპალიტეტი	39,218	33,627	-16

სახელმწიფო აგრარული პოლიტიკის ეფექტიანობის ანალიზი: შიდა ქართლის  
მაგალითზე

მაკა გოგილაშვილი

კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სამაგისტრო პროგრამა  
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: [makogilashvili@gmail.com](mailto:makogilashvili@gmail.com)

## აბსტრაქტი

საქართველოს ეკონომიკის მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურაში სოფლის მეურნეობაზე მხოლოდ 8,2% მოდის და ამ დარგში შექმნილი დამატებული ღირებულება არ აღემატება 1,5 მილიარდ ლარს. პრობლემათა ჩამონათვალი, რომლებთანაც ქვეყანაში მცხოვრებ ფერმერებს უწევთ შეჯახება, საკმაოდ დიდია: სოფლის მეურნეობის განუვითარებელი ინფრასტრუქტურა, კაპიტალდაბანდებათა შემცირება, მსოფლიო ეკონომიკის რეცესია, შეზღუდული მისაწვდომობა კრედიტებზე, შესაბამისი საგანმანათლებლო, კვლევითი და სასწავლო სისტემის არარსებობა, იმპორტიორების მიერ სამომხმარებლო ბაზარზე დაბალფასიანი პროდუქციის შემოტანა და ა.შ. სოფლად ეკონომიკის სუსტი დივერსიფიკაცია და სოფლის მეურნეობის დაბალი პროდუქტიულობა იწვევს მთლიანობაში სოფლის ეკონომიკის სისუსტეს.

წარმოდგენილი კვლევის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფოს აგრარული პოლიტიკის და მისი განმახორციელებელი აქტორების საქმიანობის ეფექტიანობის შესწავლა. მიზნის შესაბამისად, დაისვა შემდეგი საკვლევი კითხვა: სახელმწიფოსა და სოფლის მოსახლეობას შორის არსებული ურთიერთობების პროცესში როგორია ჩართული აქტორების როლი და რამდენად ეფექტიანია ის სტრატეგიები, რომლებსაც სამთავრობო სტრუქტურები ახორციელებენ სექტორის განვითარების მიზნით. კვლევის ფარგლებში გამოვიკითხე 4 ექსპერტი, სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორიდან. რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა მცირე, საშუალო და მსხვილ ფერმერთა შორის მიზნობრივი შერჩევის გამოყენებით.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სექტორი არარეგულირებადია, ადგილი აქვს ერთგვარ "ხიდჩატეხილობას" ანუ დაკარგულია ნდობა ფერმერებსა და სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლებს შორის. გამოკითხულ ფერმერთა უმეტესობა უარყოფითად აფასებს საქართველოს აგრარულ პოლიტიკას, მიაჩნიათ, რომ ქვეყანაში ბაზარი და მწარმოებელი არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, მიუხედავად იმისა, რომ ქმედებათა ჩამონათვალი, რომელიც საშუალებას იძლევა გაიზარდოს საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა საკმაოდ გრძელია, ფერმერები საუბრობენ მძიმე სოციალურ ფონზე და აღნიშნავენ, რომ ქვეყანის ხელისუფლება არ ცდილობს ხელის შეწყობას რათა სოფლის მეურნეობა გახდეს მომგებიანი და შემოსავლიანი დარგი, მთავარ პრობლემად კი იკვეთება აგრარულ სექტორში დასაქმებულ პირებისათვის, ფინანსური რესურსების სიმწირე.

**საკვანძო სიტყვები:** აგრარული პოლიტიკა, სახელმწიფოს მხრიდან ჩართული აქტორები, ფერმერთა დამოკიდებულება, სოფლის მოსახლეობა.

## შესავალი

საქართველოში აგრარული სექტორი მრავალი პრობლემისა და გამოწვევის წინაშე დგას. მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურაში სოფლის მეურნეობაზე მხოლოდ 8,2% მოდის და ამ დარგში შექმნილი დამატებული ღირებულება არ აღემატება 1,5 მილიარდ ლარს, მაშინ როდესაც სამუშაო ძალის 41,3% ამ სექტორშია დასაქმებული (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019). სოფლის მეურნეობის სფეროში დომინირებენ მცირე ფერმეები, რომლებსაც დივერსიფიკაციის მწირი რესურსები გააჩნიათ. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო პოლიტიკა აქტიურად იყოს მიმართული იმისკენ, რომ დარგი იქცეს ეკონომიკის წამყვან თუ არა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძალად მაინც. მცირე ზომის ფერმერული

მეურნეობებით სექტორის პროდუქტიულობის ამაღლება და მაღალეფექტიანობის მიღწევა მარტივ საქმეს არ წარმოადგენს, განსაკუთრებით იმის ფონზე, რომ ქართველ ფერმერებს უამრავ პრობლემასთან უწყვეტ შეჯახება: სოფლის მეურნეობის განუვითარებელი ინფრასტრუქტურა, მაგალითად, პრობლემები საირიგაციო სისტემაში; კაპიტალდაბანდებათა შემცირება; მსოფლიო ეკონომიკის რეცესია; კრედიტებზე შეზღუდული მისაწვდომობა; შესაბამისი საგანმანათლებლო, კვლევითი და სასწავლო სისტემის არარსებობა; იმპორტიორების მიერ სამომხმარებლო ბაზარზე დაბალფასიანი პროდუქციის შემოტანა და ა.შ. (Food and Agriculture Organization of the United Nations, 2015).

ქვეყნის აგროსექტორში დღეისათვის შექმნილი სავალალო მდგომარეობის მიზეზები შესაძლოა დაკავშირებული იყოს 1990-იან წლებში მიწის რეფორმის დროს დაშვებულ შეცდომებთან და არასწორად ჩატარებულ საზოგადოებრივ მეურნეობათა რეორგანიზაციასთან. რეფორმამ, რომელიც გატარდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ვერ უზრუნველყო სოფლის მეურნეობის განვითარება, ადგილი ჰქონდა შესყიდვების სისტემის ნგრევას, შედეგად კი მოუგვარებელი დარჩა გლეხების მომარაგება თესვებით, შხამქიმიკატებით, სასუქებით და წარმოების სხვა საშუალებებით (საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია, 2012).

„როდესაც სოფლის მეურნეობის წარმოების პროცესი რთულდება და უფრო კაპიტალისტური ხდება, პირველი, ვინც გამოეთიშება წარმოებას, არის ის, ვინც მხოლოდ ნაწილობრივ მონაწილეობს ამ პროცესში“ (ISET Economist Blog, 2018). აღნიშნული ტიპის ფერმერთათვის ყველაზე ძნელად შესასრულებელ ამოცანას წარმოადგენს უპასუხონ გაზრდილი პროდუქტიულობის მოთხოვნებს. საქართველოში მცხოვრები ფერმერების უმრავლესობა სწორედ ხსენებულ კატეგორიას მიეკუთვნება და შესაბამისად, არსებობს მოლოდინი იმისა, რომ მათი სიმრავლე საკმაოდ დიდ სოციალური პრობლემებს წარმოშობს.

ქვეყნის ეკონომიკის განსავითარებლად მიზანშეწონილია, რომ თავდაპირველ ეტაპზე სახელმწიფომ აიღოს პასუხისმგებლობა და იკისროს სოფლის მეურნეობის სექტორის ხელშეწყობი ფუნქცია. რისკების ჩამონათვალი, რომლებიც ამ შემთხვევაში არსებობს, ასე გამოიყურება: არასწორად გაწეული ფინანსური დახმარება, დაუგეგმავი ღონისძიებები, არაქმედითუნარიანი პოლიტიკის გატარება. პრობლემებს იწვევს გამოცდილების ნაკლებობაც და მიგრაციული პროცესები, რომლებიც ასევე უშლის ხელს სექტორის განვითარებას და წინსვლას.

იმისთვის, რომ მთავრობის მიერ განხორციელდეს ეფექტიანი შიდა ორგანიზაციული მენეჯმენტი, ინციატივები უნდა იყოს ქმედითი და რეალობასთან ახლოს მდგომი. რაც მთავარია, ისინი მორგებულნი უნდა იყვნენ რეგიონულ სპეციფიკასთან. წარმოდგენილ კვლევაში შევეცადე განმეხილა ის პროექტები, რომელსაც საქართველოს მთავრობა ახორციელებს სოფლის მეურნეობის სექტორის გასავითარებლად, რა დამოკიდებულება აქვთ მათ მიმართ სოფლის მოსახლეობას და როგორ აფასებენ ექსპერტები.

### კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფოს აგრარული პოლიტიკის და მისი განმახორციელებელი აქტორების საქმიანობის ეფექტიანობის შესწავლა.

მიზნის შესაბამისად, დაისვა შემდეგი საკვლევო კითხვა: სახელმწიფოსა და სოფლის მოსახლეობას შორის არსებული ურთიერთობების პროცესში როგორია ჩართული აქტორების

როლი და რამდენად ეფექტიანია ის სტრატეგიები, რომლებსაც სამთავრობო სტრუქტურები ახორციელებენ სექტორის განვითარების მიზნით. საკვლევ კითხვებზე პასუხის გასაცემად, პირველ რიგში, დამუშავდა სოფლის მეურნეობის სექტორზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, შესწავლილ იქნა სხვადასხვა ქვეყნების აგრარული პრაქტიკები, გამოიკითხნენ დარგის ექსპერტები და ჩატარდა მცირე ზომის რაოდენობრივი გამოკითხვა სხვადასხვა ტიპის ფერმერთა შორის.

სამეცნიერო ლიტერატურა მოვიძიე სამეცნიერო ელექტრონული საძიებო საშუალებებით. სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკების გამოვლენისას გამოყენებულ იქნა ამ ქვეყნების ოფიციალური ვებგვერდები, ისევე როგორც შესწავლილ იქნა სხვადასხვა მკვლევრის შეფასებები. კვლევის ფარგლებში გამოვიკითხე 4 ექსპერტი სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორიდან. რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა მცირე, საშუალო და მსხვილ ფერმერთა შორის მიზნობრივი შერჩევის გამოყენებით. სულ გამოიკითხა 19 მცირე, 20 საშუალო და 3 დიდი ფერმის მესაკუთრე. შერჩევის დიზაინისა და მოცულობის სიმცირის გამო მიღებული შედეგები არარეპრეზენტატულია, თუმცა გვეხმარება ტენდენციების გამოვლენაში. რაოდენობრივი გამოკითხვა იწარმოებოდა სტრუქტურირებული კითხვარის საშუალებით, ხოლო გამოკითხვის ფორმა იყო პირისპირი ინტერვიუ. მონაცემების შეგროვების შემდეგ მოხდა მისი გაწმენდა და დამუშავება SPSS-ის პროგრამის საშუალებით.

### **ლიტერატურის მიმოხილვა და საერთაშორისო გამოცდილება**

საკითხის დეტალურად შესასწავლად მნიშვნელოვნად მივიჩნიე სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება აღნიშნული კუთხით, ვინაიდან ეკონომიკურ სექტორებს შორის სოფლის მეურნეობა წარმოადგენს დარგს, რომელიც ყველაზე მეტ დახმარებას იღებს მთელს მსოფლიოში, განსაკუთრებით ევროკავშირსა და აშშ-ში ( United States Department of Agriculture Rural, 2019): „ევროკავშირის სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკის შედეგი, ფერმების გამსხვილება, Common Agricultural Policy (CAP)-ის დამსახურებაა. 1999 წელს ევროკავშირში სოფლის მეურნეობის სუბსიდირების პოლიტიკა ორიენტირებული გახდა მსხვილი ბიზნესების განვითარებაზე.“ 1999 წლის რეფორმამდე ფინანსურ დახმარებებს პროდუქციის მოცულობის მიხედვით გასცემდნენ - რაც უფრო მეტს აწარმოებდა ფერმერი, მით მეტ სახელმწიფო დაფინანსებას იღებდა. რეფორმის შედეგად კი, სუბსიდის მოცულობას დამუშავებული მიწის ფართობი განსაზღვრავს“ (EUROPE FOR GEORGIA, 2017).

საერთაშორისო გამოცდილების შესასწავლად შევარჩიე ჩინეთი, როგორც ეკონომიკური მოწყობით საბჭოთა კავშირის მსგავსი შემთხვევა. ჩინეთში დაწყებული სოფლის მეურნეობის რეფორმა ერთ-ერთ წარმატებულ მაგალითად შეიძლება განვიხილოთ. 1978 წლიდან 1996 წლამდე მთლიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი წელიწადში 5,5 პროცენტით იზრდებოდა. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, გაიზარდა ქალაქური და სოფლის საწარმოების (TVEs) მთლიანი ღირებულება 1978 წლიდან 1995 წლამდე და 24 % შეადგინა, 9-ჯერ გაიზარდა დასაქმებულთა რიცხვიც.

ჩინელმა ფერმერებმა კეთილგონიერება გამოიჩინეს და ზუსტად გათვალეს მოქმედებათა არეალი. მათ შეამცირეს წარმოების ბრიგადების ზომა, მაქსიმალურად გაზარდეს დასაქმებულთა რაოდენობები. შემდგომ მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენებინათ მათ ხელთ არსებული

რესურსები. ფერმერებს საშუალება მიეცათ გაეფართოვებინათ სავაჭრო და საბაზრო ურთიერთობები, სასოფლო სამეურნეო რეფორმის პარალელურად ჩინეთში ადგილი ჰქონდა უბრანულ რეფორმებსაც. 1990- იანი წლებიდან გაიზარდა უცხოური ინვესტიციების შემოდინება ქვეყანაში და შესაბამისად კვალიფიციურ მუშახელზე მოთხოვნაც. „*მიეცი ადამიანს თევზი და ის შეჭამს მას 1 დღეში. ასწავლე ადამიანს თევზაობა და მას არასდროს მოშვიდება*“ – ეს გამოთქმა ზუსტად შეესაბამება ჩინეთის წარმოების სექტორს (Owens, 2019).

თუ განვიხილავთ დასავლეთის პრაქტიკას, ის მიუთითებს, რომ მცირე ზომის ფერმერული მეურნეობების წარმომადგენლებისთვის დამახასიათებელია არასწორი ხედვა. სწორედ ამიტომ აუცილებელია რეგულარული შეხვედრები მათთან: „მცირე ფერმერები რეალური საფრთხის წინაშე დგანან და ისინი მსხვილი ფერმერების „მსხვერპლნი“ ხდებიან ხშირ შემთხვევაში. აშშ-ში მკაცრადაა გაწერილი, სახელმწიფოს ვალდებულება, გაატაროს ისეთი პოლიტიკა, რომ ფერმერმა მარტივად შეძლოს ბიზნეს აქტივობაში ჩაბმა. სწორედ ამიტომ რიგითი ფერმერები პროცესის სრულფასოვნად წარსამართავად დაგეგმვითი ანალიზის პროცესში აქტიურად არიან ჩართულები (Turland, 2019). ამ მხრივ აღსანიშნავია მე-20 საუკუნის დასაწყისი, როდესაც აშშ-ში ნიუ-იორკის კოოპერაციული ლიგის ხელშეწყობით საფუძველი ჩაეყარა კოოპერაციული მოძრაობის განვითარებას. აქტიურად გაჩაღდა საინფორმაციო კამპანიები და აღმოცენდა სხვადასხვა კოოპერატიული გაერთიანებები. დღეის მდომარეობით, აშშ-ში ფუნქციონირებს 30000 კოოპერატივი, რომელთა აქტივები 3 ტრილიონ აშშ დოლარს აღემატება. ყოველწლიური შემოსავლები 500 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს, საიდანაც ხელფასის სახით გაიცემა 25 მილიარდი აშშ დოლარი. მნიშვნელოვან რგოლს აშშ-ს კოოპერაციულ სისტემაში ასრულებენ მომარაგების და გასაღების კოოპერატივები, რომლებსაც ასევე შეთავსებული აქვთ წარმოების ფუნქციები (Turland, 2019).

საქართველოს მსგავსად, მცირე ფერმერული მეურნეობები გვხვდება ისეთ ქვეყნებში როგორებიცაა: ეგვიპტე, ტაივანი, იუგოსლავია. იმისთვის, რომ ამ ტიპის ფერმერულმა მეურნეობებმა ეფექტიანად იმუშაონ, აუცილებელია მათი მოქცევა ორგანიზაციულ ჩარჩოებში. ამგვარ ფუნქციას ითავსებს ადგილობრივი ხელისუფლება ან სოფლის საკრებულოები, რომლებსაც გააჩნიათ ყოველგვარი რესურსი განვითარებისათვის. თუმცა, არსებობს გამონაკლისებიც და ზოგიერთ შემთხვევაში უცხოური სააგენტოები მონაწილეობენ სექტორის განვითარებაში.

„ადგილობრივი ორგანიზაციები და უცხოური ქვეყნის სააგენტოები ხშირ შემთხვევაში ერთობლივად ცდილობენ მცირე ფერმერების ჩართვას კოოპერატივებში. კოოპერატივი წარმოადგენს ორგანიზაციულ სტრუქტურას, რომლის მეშვეობთაც ფერმერს საშუალება ეძლევა დაიცვას მოსავალი და საკუთარი მომავალი. კოოპერატივი უმარტივებს ფერმერს როგორც მიწის დამუშავებას, ასევე პროდუქციის რეალიზებას და წარმოებას. კოოპერატივი საშუალებას აძლევს ფერმერს განახორციელოს დაგეგმვითი სამუშაოები (Meier, 1998). სწორედ ამიტომ ქვეყნების უმრავლესობა სექტორის უკეთ გასავითარებლად უპირატესობას ანიჭებს კოოპერატივების განვითარებას, ვინაიდან იმ ქვეყნებს, რომლებსაც აქვთ ორგანიზებული სოფლის საზოგადოებები, ნაკლებად ემუქრებათ სიღარიბის საფრთხე.

მიზეზები, რომლებიც კოოპერაციული პროექტების განხორციელებით მიღებული შრომითი ეფექტიანობის საფუძველია, შემდეგში მდგომარეობს:

1. ეკონომიკური ეფექტი: ისეთი დამატებითი ღირებულების გენერირება, სადაც შესაძლებელი იქნება პროდუქციის ღირებულების გაზრდა ყოველ სამეურნეო საფეხურზე, ასევე პირველადი პროდუქციის წარმოების, გადამამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი საწარმოო ციკლის შექმნა.
2. სოციალური ეფექტი: სოციალური სოლიდარობისა და სამართლიანობის გარემოს შექმნა, სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება.
3. დემოკრატიული თვითმმართველობა: თვითანაზღაურება, თვითრეგულირება, თვითკონტროლი, სადაც მოქმედებს არჩევითობაზე დაფუძნებული მმართველობითი სისტემა პრინციპით „ქვევიდან – ზევით“, რაც გამორიცხავს მმართველი აპარატის ბიუროკრატიზაციას.
4. სოფლად მოსახლეობის მასიური დასაქმება (Rural Business-Cooperative Service, 2019).

მსგავსი კოოპერატივების განვითარების პრაქტიკა გვხვდება არაერთ ქვეყანაში. ქვემოთ გავაანალიზებ ამ შემთხვევებს.

ესპანეთში კოოპერატივი მიჩნეულია, როგორც „განსაკუთრებული“ საწარმო, გაწევრიანებულია 1 მლნ-მდე ფერმერი; აგროსასურსათო კოოპერატივების რაოდენობა შეადგენს 3380-ს, გრძელვადიანი და მოკლევადიანი კონტრაქტებით დასაქმებულია 96 ათასი ადამიანი; კოოპერატივების წლიური საქონელბრუნვა დაახლოებით 26 მლრდ. ევროა, საიდანაც ექსპორტის მოცულობა 27%-ია. ესპანეთში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მარეგულირებელი კანონმდებლობა და განვითარების სტრატეგიები არსებობს ცალკეული რეგიონების მიხედვით (Fernández-Olmos, 2013).

იაპონიაში სოფლის მთელი მოსახლეობა ჩართულია კოოპერაციულ სისტემაში, რომლის მეშვეობითაც მთავრობამ მოახდინა ახალი აგრარული პოლიტიკის გატარება ქვეყნის მთლიანი მასშტაბით. იაპონელი ფერმერების 91% გაწევრიანებულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში. სტრუქტურული თვალსაზრისით, გამოიყოფა შემდეგი სახის ელემენტები: 1. საწარმოო განყოფილება - ორგანიზებას უწევს სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოებას/რეალიზაციას; 2. შესყიდვების განყოფილება - ორგანიზებას უწევს ფერმერების მომარაგებას საწარმოო საშუალებებით: შხამქიმიკატებით, სასუქით, საკვებით, შესაფუთი მასალებით, სათადარიგო ნაწილებით, სასათბურე მოწყობილობებით. 3. გაყიდვების განყოფილება - მისი მეშვეობით ხორციელდება სამომხმარებლო საქონლის, კვების პროდუქტების, ტანსაცმლის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესყიდვები და გაყიდვები (Hays, 2013).

იტალიის სოფლის მეურნეობის სექტორმა განვითარების საკმაოდ რთული და გრძელი გზა გაიარა. რეგიონული ლიდერების თვალთახედვით, ცენტრალური ხელისუფლებისათვის ვაჭრობის ძირითად საგანს ორი სახის კონტროლი წარმოადგენს: კონტროლი ფინანსებზე და კონტროლი ფორმალური ძალაუფლების დელეგირებაზე; უფრო მდიდარი და ამბიციური ჩრდილოური რეგიონების ლიდერებს იმის გარკვევა სურდათ, ვინ ადგენს წესებს, ხოლო სამხრეთელებს იმისა, თუ რამდენი დევს საფულეში; იმის გამო, რომ ცენტრი არ ახორციელებდა კონტროლს კანონებზე, პროცედურებზე, ფულზე, რეგიონები ნაკლებად ფორმალურ პოლიტიკურ რესურსებს ჩაებლაუქნენ. სამხრეთელების სტრატეგია უფრო ვერტიკალური იყო და რომში მოღვაწე „სიმპათიური პატრონისადმი“ კერძო თხოვნით მიმართვაში გამოიხატებოდა. ჩრდილოელები მზად იყვნენ ჰორიზონტალური კოლექტიური ქმედებისათვის, რათა რეგიონალისტურ ფრონზე გაეშალათ ბრძოლა (პატნემი, 1993).

ბულგარეთში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს არსებობის საკმაოდ გრძელი ისტორია გააჩნია, მიწის პრივატიზაციის რეფორმამ, რომელიც ქვეყანაში გატარდა კოლექტივიზაციის შემდგომ პერიოდში განაპირობა სასოფლო-სამეურნეო მიწების მცირე ნაწილებად ფრაგმენტაცია, შესაბამისად ფერმერები ქმნიდნენ კოოპერატივებს, სადაც ხორციელდებოდა მიწების გაერთიანება და კოორდინირების გაწევა მცირე ზომის ფერმერებისთვის რათა ეფექტიანი სარგებელი მიეღოთ ბაზირდნენ. 90-იან წლების შემდგომ ბულგარეთში შექმნილმა არასტაბილურმა პოლიტიკურმა სიტუაციამ განაპირობა სოფლის მეურნეობის სისტემის რღვევა, თუმცა მას შემდეგ რაც ქვეყანა ევროკავშირს შეუერთდა ჩამოყალიბდა ერთიანი აგარარული პოლიტიკა და ამ პერიოდში ჩამოყალიბებულმა კოოპერატივებმა განაპირობა აგარარული სექტორის ეფექტიანობა (agri-cooperatives, 2015).

პოლონეთში 90 იანი წლების მეორე ნახევარში სამუშაო ძალის 25% აგარარულ სექტორში დასაქმებული მოსახლეობა წარმოადგენდა, ამ პერიოდში არსებული ოჯახური ფერმერული მართვის სიტემა, რომელიც ცენტრალური დაგეგმარების პრონციპებს ექვემდებარებოდა ვერ იძლეოდა პროდუქტიულობის მაღალ ხარისხს. 2004 წელს, მას შემდეგ რაც პოლონეთი შეუერთდა ევროკავშირს, ადგილი ჰქონდა ქვეყანაში კოოპერატივების შემცირებას თუმცა დარჩენილი კოოპერატივების პროდუქტიულობა გაიზარდა და მათ საკმაოდ მნიშველოვანი როლი აკისრიათ პოლონეთის სოფლის მეურნეობის სისტემის ეფექტიან ფუნციონირებაში.

რუმინეთში, სადაც 1889 წლიდან - 1989 წლამდე კოოპერატივების ბუმი იყო, 90 -იანი წლების სისტემის მოშლამ და ერთიანი განვითარების სისტემის არ არსებობამ განაპირობა აგარარული სექტორის ჩამოშლა. მხოლოდ 2004 წლიდან გახდა შესაძლებელი ოფიციალურად ჩამოყალიბებულიყო სასოფლო სამეურნეო კოოპერატივები, ისინი საკმაოდ დიდ როლს თამაშობენ სურსათის მიწოდების ერთიან ჯაჭვში (agri-cooperatives, European, 2015).

XX საუკუნეში იტალიის აგარარულ სექტორში ადგილი ჰქონდა კოოპერაციის შემდეგი ფორმების განვითარებას: საწარმოო, სამომხმარებლო, რძის, ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი, საკრედიტო, მარკეტინგული და სხვა. ხუთი საუკუნის მანძილზე იტალიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციულმა მოძრაობამ დააგროვა მდიდარი ტრადიციები პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში, გადამამუშავებასა და რეალიზაციაში (Wolak, 2019).

მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობა ითვალისწინებს კოოპერაციის სახელმწიფო რეგულირების შეღავათიანი რეჟიმების გამოყენებას, რაც გამოიხატება კოოპერატივების სუბსიდირების და მათ მიმართ შეღავათიანი საგადასახადო პოლიტიკის გატარებაში. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში გვხვდება კოოპერატივები, რომელშიც ჩართულია მილიარდზე მეტი ადამიანი (Wolak, 2019).

### **საქართველოში სოფლის მეურნეობის დახასიათება**

საბჭოთა სისტემის პირობებში მიწა ეკუთვნოდა სახელმწიფოს. მისი ძირითადი ნაწილით სარგებლობდნენ საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები. რაც შეეხება მოსახლეობას, მათ სარგებლობაში გადაცემული ჰქონდათ მხოლოდ მცირე ნაწილი. „საქართველოში სოფლის კომლს პირად სარგებლობაში გააჩნდა მხოლოდ 0.15-0.25 ჰა მიწა ე.წ. “პირადი დამხმარე მეურნეობის” სახით, რომელიც მოიცავდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 6-7%-ს“ (მუსხელიშვილი, 2012).

1990 წლის მონაცემების თანახმად, ქართული ეკონომიკის მესამედს აგრარული სექტორი წარმოადგენდა, 90-იანი წლების პირველი ნახევრიდან სასოფლო-სამეურნეო წარმოება განიცდის სერიოზულ კრიზისს (ევროპის კავშირის სამეზობლო პროგრამა, 2012). დარგმა დაკარგა იმ სტაბილური ბაზრების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც მუდმივად მოიხმარდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციას. შემცირდა ექსპორტზე ორიენტირებული ჩაის ფოთლის, ყურძნის და მისგან დამზადებული პროდუქტების, ხილისა და ციტრუსების პროდუქციის, მარცვლეულის, ხორცის და კვერცხის წარმოება. ტექნიკისა და ტექნოლოგიური რესურსების, სასუქების, შხამქიმიკატების, და სხვა რესურსებით მომარაგებაში არსებული პრობლემები კიდევ უფრო აფერხებდა ამ დარგის განვითარებას.

90-იანი წლების დასაწყისში, სოფლის მეურნეობაში ცვლილებებზე საუბრისას აუცილებელია აღინიშნოს სავალდებულო აგრარული რეფორმა, რომელიც ითვალისწინებდა მიწის პრივატიზაციას. ამ პროცესმა ხელი შეუწყო სოფლად მეწარმეთა ახალი ფენის - წვრილი ფერმერის ჩამოყალიბებას. სოფლად მცხოვრები ადამიანების 70%-ს სწორედ წვრილი ფერმერები შეადგენდნენ, ამავე პერიოდში ადგილი ჰქონდა სათესლე მეურნეობების, საკვლევი ცენტრების, კოლმეურნეობების შხამქიმიკატებითა და სასუქებით მომარაგებელი “საქსოფქიმიის” დაშლას. ქვეყანამ დაკარგა იმ სტაბილური ბაზრების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც მუდმივად მოიხმარდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციას. 1993-94 წლებში სოფლის მეურნეობის სფეროში წარმოებულმა პროდუქციამ შეადგინა 1987 წლის მაჩვენებლის მხოლოდ ერთი მესამედი. ეკონომიკის ნგრევის შედეგად, სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში მხოლოდ 1995 წელს გაიზარდა 42%-მდე, ამის შემდეგ, ყოველწლიურად მცირდებოდა მისი ეფექტიანობა და 2003 წელს დავიდა 19,2%-მდე, ხოლო 2010 წელს 8% შეადგინა (საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროს ტრანსფორმაცია).

1992 წელს გამოიცა საქართველოს მთავრობის რეზოლუცია კოლექტიური და სახელმწიფო მეურნეობების რეორგანიზაციის შესახებ, თუმცა რეზოლუციაში არ იყო ჩამოყალიბებული ის კონკრეტული ნაბიჯები, რომლებიც უნდა განხორციელებულიყო რეორგანიზაციის წარსამართად. 1996 წელს “სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ” მიღებული კანონის თანახმად, დაიწყო მიწის იჯარით გაცემის პროცესი და მოსახლეობას განაწილებული მიწა გადაეცა კერძო საკუთრებაში, 2003 წლის დასაწყისისათვის იჯარით იყო გაცემული მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულის 29,9%; 2004 წელს სასოფლო-სამეურნეო მიწის მქონე მეურნეობებიდან 75,2%-ს გააჩნდა 1 ჰა-ზე ნაკლები მიწა; მეურნეობების 18,3%-ს ჰქონდა 1-2 ჰა; ხოლო 7%-ს - 3-10 ჰა მიწა. 0,6% ფლობდა 10-50 ჰა-ს (მიწის შესახებ საქართველოს კანონმდებლობათა კრებული, 2001). მიუხედავად იმისა, რომ მიწის რეფორმების შედეგად გაიზარდა კერძო საკუთრებაში არსებული მიწების რაოდენობა, ვერ განხორციელდა ეფექტიანი ფერმერული მეურნეობების შექმნა და დარგის საბაზრო ურთიერთობებზე გადაყვანა. არსებული ნაკვეთების ზომა ფერმერს მხოლოდ ოჯახების გამოკვების შესაძლებლობას აძლევდა და ვერ იძლეოდნენ იმ რაოდენობის პროდუქციას, რომელიც მოახდენდა მსხვილი საბჭოთა მეურნეობების დაშლის კომპენსირებას. უნდა აღინიშნოს, რომ გლეხური შინამეურნეოები განიცდიდნენ პესტიციდებისა და მინერალური სასუქების ნაკლებობას, არ მიუწვდებოდათ ხელი კვალიფიციურ აგრარულ და ვეტერინარულ კონსულტაციაზე, არ გააჩნდათ საკუთარი ტექნიკა, მაღალი საპროცენტო განაკვეთების გამო არ მიუწვებოდათ ხელი კრედიტებზე. წვრილი ფერმერები შეზღუდული ცოდნისა და შესაძლებლობების გამო უფრო ადვილად ზიანდებოდნენ

უარყოფითი ბუნებრივი მოვლენებით მაშინ, როდესაც მსხვილ ფერმერებს ჰქონდათ შესაბამისი რესურსები, გამოცდილება და შესაძლებლობა დაეცვათ თავი სხვადასხვა რისკისგან (მუსხელიშვილი, 2012).

1991-2004 წლებში საქართველოს აგრარულ სექტორში მოსავლიანობის მაჩვენებელი საკმაოდ არასტაბილური იყო. 1986-1990 წწ. ხორბლის საშუალო მოსავლიანობა შეადგენდა 2,7 ტონას ჰაზე, 1991-1995 წლებში შემცირდა 1,6 ტონამდე, 2000-2004 წლებში- 2,3 ტონამდე (საქართველოს სოფლის მეურნეობა 2004) მდგომარეობას ამწვავებდა ის გარემოებაც, რომ ქვეყანა დამოკიდებული გახდა სასოფლო-სამეურნეო საქონლის იმპორტზე. პროდუქტიულობის მაჩვენებელი საქართველოს სოფლის მეურნეობაში საკმაოდ დაბალია. „სოფლად მცხოვრები დაახლოებით ორი ქართველი იგივე ღირებულების პროდუქტს ქმნის, რამდენსაც ერთი ლატვიელი; ოთხი ქართველი იმდენივეს — რამდენსაც ერთი ესტონელი და მთელი ექვსკაციანი ოჯახი საქართველოში სოფლად — მხოლოდ ერთი ბულგარელის ოდენ ეკონომიკურ დოვლათს. თანამედროვე დასავლურ ეკონომიკებთან შედარებით, ციფრები კიდევ უფრო თვალშისაცემია: სოფლად მცხოვრები 30 ქართველი იგივე ღირებულების პროდუქტს ქმნის, რამდენსაც სოფლის მეურნეობის ერთი ფრანგი მუშაკი“ (ISET Economist Blog, 2018).

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის პროექტის ხელმძღვანელი მიხეილ სოხაძე აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არასწორად დანაწილებულმა მიწებმა ფერმერობა გადააქცია თვითგადარჩენის საშუალებად. რეალურად, ქვეყანაში სულ რამდენიმეა ისეთი ფერმერი, რომლებსაც აქვთ საკვები ბაზა, ცდილობენ გააუმჯობესონ ჯიშები, აქტიურად იყენებენ ვეტერინალურ მომსახურებას, და ა.შ. ექსპერტს მიაჩნია, რომ აუცილებელია, სახელმწიფოს მხრიდან გატარდეს არა პოპულარული, არამედ მიზანზე ორიენტირებული ქმედებები, არ ჩაიდოს ინვესტირება იქ, სადაც არ იქნება შედეგი, ანუ ყველაფრის დეტალურად წინასწარ გათვლა უნდა განხორციელდეს. ის თვლის, რომ ქვეყანაში არ არის რესურსი იმ ადამიანებისთვის, რომლებიც პროცესის სრულფასოვნად წარმართვას უზრუნველყოფენ. სწორედ ამიტომაც მნიშვნელოვანი სახელმწიფოს მხრიდან სხვადასხვა სტრუქტურების ორიენტირება სოფელზე. ქვეყანაში ჯერ-ჯერობით არ არის კომპენსაციის სისტემა. მნიშვნელოვანი და აუცილებელია ქართულ სისტემას მოვარგოთ ევროპული სისტემა და არ "გადმოვაკოპიროთ" ის პირდაპირ, წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ იმაზე უფრო დანგრეულ ეკონომიკას, ვიდრე დღეს გვაქვს. თუ გავითვალისწინებთ ევროპულ გამოცდილებას, ნათელია, რომ ევროპის ბაზარი საკმაოდ მიმზიდველია თავისი მოცულობითა და მყიდველუნარიანი მოსახლეობით, თუმცა, ამ შემთხვევაში დაწესებულია სურსათის უვნებლობის საკმაოდ მაღალი სტანდარტები, მაქსიმალურად აქვს დათმობილი ყურადღება ჰიგიენის წესებს, საწარმოს აღჭურვილობას, დეზინფექციას და დაბინძურების ყველა პოტენციურ წყაროს. დაწესებულია სტანდარტები პერსონალის პირადი ჰიგიენისა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, ნარჩენების მართვაზე, მომწოდებლების და ნედლეულის კონტროლზე, საქართველოში კი სრულიად განსხვავებულ რეალობასთან გვაქვს საქმე. ეს გამოწვეულია ველზე სპეციალისტების ნაკლებობით და ფერმერთა განათლების დაბალი დონით.


### **სოფლის მეურნეობის სექტორში სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პოლიტიკა**

სოფლად ეკონომიკის სუსტი დივერსიფიკაცია და სოფლის მეურნეობის დაბალი პროდუქტიულობა იწვევს მთლიანობაში სოფლის ეკონომიკის სისუსტეს.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, 2017 წელს, 2016 წელთან შედარებით, კლება აღინიშნა სოფლის მეურნეობისა (-2,7 პროცენტი) და შინამეურნეობების მიერ პროდუქციის გადამუშავების (-2,7 პროცენტი) სექტორებში (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019) (იხილიეთ გრაფიკი # 1).

გრაფიკი#1

აგრობიზნესის მთლიანი გამოშვების წილი ქვეყნის ეკონომიკის მთლიან გამოშვებაში, %



(საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019)

არსებული მონაცემების თანახმად, 2013-დან 2018 წლამდე სექტორის მთლიანი გამოშვების წილი ქვეყნის ეკონომიკის მთლიან გამოშვებაში 2014 წელს გაიზარდა და მის შემდეგ კლებას განიცდის. იმის ფონზე, რომ ჯერ კიდევ 2012 წლიდან დაიწყო სურსათის უვნებლობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების კონტექსტში.

1996 წელს “სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ”, მიღებული კანონის თანახმად, დაიწყო მიწის იჯარით გაცემის პროცესი და მოსახლეობას განაწილებული მიწა გადაეცა კერძო საკუთრებაში, 2003 წლის დასაწყისისათვის იჯარით იყო გაცემული მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულის 29,9%; 2004 წელს სასოფლო-სამეურნეო მიწის მქონე მეურნეობებიდან 75,2%-ს გააჩნდა 1 ჰა-ზე ნაკლები მიწა; 18,3%-ს მეურნეობებისა ჰქონდა 1-2 ჰა; ხოლო 7% - 3-20 ჰა მიწა. 0,6% ფლობდა 10-50 ჰა (მიწის შესახებ საქართველოს კანონმდებლობათა კრებული, 2001).

2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, 1 ჰექტრამდე მიწას ფლობს მიწათმოსარგებლეთა 73.1%, 1-დან 5 ჰექტრამდე ფართობს - 25.5%, ხოლო 5 ჰექტარზე მეტს - მხოლოდ 1.5%. პრობლემას ამწვავებს ისიც, რომ მეურნეობების კუთვნილი 1 ჰექტარი მიწა საშუალოდ წარმოდგენილია 2-3 ნაკვეთად (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019). მიწის რეგისტრაციის პრობლემების გამო, ქვეყანაში არსებული მიწის დიდი ნაწილი გამოუყენებელია ან წლიდან წლამდე მცირდება მათი გამოყენების ოდენობა (იხ. ცხრილი #1).

ცხრილი #1

ერთწლიანი (ათასი ჰექტარი)	კულტურების		ნათესი		ფართობები				რეგიონების			მიხედვით	
	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
<b>საქართველო</b>	<b>330.2</b>	<b>297.2</b>	<b>329.3</b>	<b>289.7</b>	<b>256.7</b>	<b>262.4</b>	<b>259.6</b>	<b>310.7</b>	<b>274.9</b>	<b>263.7</b>	<b>240.0</b>	<b>220.3</b>	<b>207.1</b>
ქ. თბილისი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	0.3	0.2	0.1
აჭარის არ	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	4.4	3.4	3.5
გურია	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	7.9	5.3	4.4
იმერეთი	51.9	49.8	51.7	49.1	41.1	42.9	38.9	46.7	44.4	45.5	30.0	28.6	23.0
კახეთი	94.3	86.0	114.4	79.5	68.8	60.6	74.5	97.6	87.6	77.9	78.5	76.1	71.9
მცხეთა-მთიანეთი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	5.5	3.7	4.2
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	1.2	1.1	1.0
სამეგრელო-ზემო სვანეთი	39.3	39.6	45.1	46.2	36.5	38.6	32.8	41.5	37	33.3	29.2	24.9	24.2
სამცხე-ჯავახეთი	33.4	26.7	26.4	21.9	25.1	26.2	27.3	25.6	23.4	22.9	24.0	24.2	21.7
ქვემო ქართლი	57.5	45.7	34.5	34.8	33.3	42.1	39.4	40.9	30.7	31.3	31.0	29.7	31.2
შიდა ქართლი	24.6	22.7	29.0	33.4	24.3	31.6	27.2	34.5	30.0	33.7	28.0	23.1	22.0
დანარჩენი რეგიონები	29.2	26.7	28.2	24.8	27.6	20.4	19.5	23.9	21.8	19.1	x	x	x

(საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019)

2012 წლიდან 2018 წლამდე საკმაოდ არასტაბილურად ხორციელდება ქვეყნაში უცხოური ინვესტიციების შემოდინება, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება 2017 წელს და ეს ციფრი შეადგენს 1,962.6 მლნ. აშშ დოლარს, მაშინ როდესაც 2018 -ში 1,265.2 მლნ. აშშ დოლარამდე შემცირდა. მეტი თვალსაჩინოებისთვის იხილეთ ცხრილი #2:

ცხრილი #2

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

მლნ. აშშ დოლარი

წელი	სულ	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.
1996	<b>3.8</b>	...	...	...	...
1997	<b>242.6</b>	38.8	48.5	97.0	58.2
1998	<b>265.3</b>	19.1	97.8	45.0	103.4
1999	<b>82.2</b>	19.4	22.3	20.0	20.6
2000	<b>131.2</b>	32.7	30.0	28.9	39.5
2001	<b>109.8</b>	20.0	30.8	29.8	29.2
2002	<b>160.2</b>	24.4	44.6	36.4	54.8
2003	<b>334.6</b>	56.3	80.4	83.4	114.4
2004	<b>492.3</b>	118.2	117.2	133.0	123.9
2005	<b>452.8</b>	88.6	104.8	79.6	179.7
2006	<b>1,171.2</b>	145.2	318.0	332.4	375.5
2007	<b>1,764.7</b>	330.8	375.3	470.6	588.0
2008	<b>1,575.2</b>	540.1	607.7	136.1	291.3
2009	<b>666.8</b>	114.5	178.3	179.1	194.9
2010	<b>865.6</b>	176.1	211.5	236.8	241.2
2011	<b>1,134.0</b>	222.6	273.1	309.1	329.2
2012	<b>1,048.2</b>	312.4	248.0	220.5	267.3
2013	<b>1,039.2</b>	291.8	224.1	271.6	251.6
2014	<b>1,837.0</b>	331.9	217.6	749.5	538.0
2015	<b>1,729.1</b>	343.4	493.2	531.1	361.3
2016	<b>1,650.3</b>	392.2	452.1	506.5	299.5

2017	<b>1,962.6</b>	411.7	394.0	627.9	529.0
2018	<b>1,265.2</b>	323.5	403.6	367.0	171.0
2019*	<b>473.2</b>	286.1	187.0		

(საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019)

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები 2017 წელს 2014-2016 წლების მონაცემებთან შედარებით საკმაოდ შემცირებულია როგორც პროცენტული, ისე აბსოლუტური მნიშვნელობით, რაც შესაძლოა გამოწვეულია წარმოების დონის შემცირებით.

სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა მაჩვენებლის მიხედვით, საქართველო ისეთი ქვეყნების რიგებშია, როგორცაა კენია, მაროკო, ნიგერია, გაბონი, განა, ჰაიტი, ინდოეთი, პაკისტანი, ვიეტნამი და სხვ. ქვეყანაში მცხოვრებ ფერმერთა უმრავლესობა მიეკუთვნება არა „მოწოდებით ფერმერებს“, არამედ ე.წ. „შემთხვევით ფერმერებს“, რომელთა დიდი ნაწილი ვერ აკმაყოფილებს შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს ცოდნისა და უნარების მხრივ (Iset Policy Institute, 2019). საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშავა სტრატეგია, რომელიც მიღწეულ უნდა იქნას 2027 წლისთვის და ემსახურება შემდეგი მიზნების მიღწევას:

1. კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორების განვითარება;
2. ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემების შენარჩუნება და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია;
3. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეფექტური სისტემების ჩამოყალიბება (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2019). დღეის მდგომარეობით, საქართველოს სოფლის მეურნეობის გასავითარებლად ა(ა)იპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო ახორციელებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებულ პროექტებს და მართავს სხვადასხვა დაქვემდებარებულ სასოფლო-სამეურნეო კომპანიებს. ეს პროექტებია:
  1. დანერგე მომავალი - საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტიანი გამოყენება მრავალწლოვანი კულტურების გაშენების გზით; პროექტი ითვალისწინებს ფერმერთათვის საექსპორტო პოტენციალის გაზრდას, იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლებას ადგილობრივით და სოფლად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას;
  2. აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა - პირველადი წარმოების პროდუქტის ხარისხისა და მოსავლიანობის ზრდის ხელშეწყობა; არსებული ბაღების პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების ხელშეწყობა; პროექტი ასევე ითვალისწინებს თანამედროვე ტექნოლოგიების და საერთაშორისო გამოცდილების დანერგვას ქვეყანაში;
  3. შეღავათიანი აგროკრედიტი - სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესებისათვის ხელშეწყობა ფიზიკური და იურიდიული პირების იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის გზით; პროექტი ითვალისწინებს, რომ საწარმოებმა საფინანსო ინსტიტუტებისგან მიიღონ შეღავათიანი აგროკრედიტი ძირითადი და საბრუნავი საშუალებებისათვის;

4. აგროდაზღვევა - პროექტის მიზანია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა, აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნება, რისკების შემცირება. პროექტის ფარგლებში სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო ხელშეკრულებებს აფორმებს საქართველოში კანონმდებლობით დადგენილი წესით ლიცენზირებულ შესაბამის სადაზღვევო კომპანიებთან.
5. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსებას. სააგენტოს თანადაფინანსების მოცულობა ერთ ბენეფიციარზე შეადგენს შესასყიდი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ღირებულების არაუმეტეს 50%-ს, მაგრამ არაუმეტეს 150,000 ლარისა (სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამინისტრო, 2019).

სამთავრობო სტრუქტურების მიერ სოფლის მეურნეობის დარგში გატარებულ ცვლილებებზე საუბრისას სოფლის მეურნეობისა და მეცხოველოების განვითარების სექტორის ექპერტი ლევან კობახიძე მიიჩნევს, რომ პროგრამები ამოვარდნილია სტანდარტებიდან, რეალურად არ არსებობს ხედვა და პროცესი აბსოლიტურად არასწორი კუთხით მიმდინარეობს. რესპოდენტი მიიჩნევს, რომ ეს არის პოლიტიზირებული სტრატეგია. „ყოველი ახალი მთავრობის მოსვლას ქვეყნის არენაზე თან სდევს სტრატეგიის ცვლილება. სტრატეგია უნდა იყოს გრძელვადიან სტანდარტებზე დაფუძნებული და თითოეული პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს გარკვეული მიმართულება, რომელიც სწორხაზოვნად უნდა სრულდებოდეს. მაგალითად, ერთ მთავრობას მიაჩნია, რომ კოოპერატივების შექმნა სასურველია. მოდის მეორე მთავრობა, რომელიც ერთი ხელის მოსმით აცხადებს, რომ ეს პროცესი მას არ სჭირდება და ა.შ. სწორედ ამიტომ, სასურველია, რომ როდესაც პროექტი კეთდება, ის სერთო მიზანს და ამოცანას ემსახურებოდეს.“

იმისთვის, რომ სოფლის მეურნეობის რეფორმა წარმატებულად განხორციელდეს აუცილებელია იმ მიზეზების დეტალურად შესწავლა, რომლებიც სისტემის წარმატებით განვითარებას აფერხებენ.


FAO-ს და EURO BANK-ის ერთობლივი პროექტების კოორდინატორი კატერინა პობერეჟნა მიიჩნევს, რომ საქართველოში, დღეის მდგომარეობით, ყველაზე პრობლემურია სურსათის უვნებლობის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ რეგულაციები დანერგილია, არ ხდება მათი შესრულება იმგვარად, როგორც საჭიროა. საკმაოდ სუსტია კონტროლის მექანიზმიც. რესპოდენტი მიუთითებს, რომ არ უნდა ხდებოდეს ევროკავშირის მიერ მიღებული რეგულაციების „ბრმად“ განხორციელება და აუცილებელია მათი მორგება საქართველოს რეალობასთან. „აუცილებელია იმის გადამოწმება, თუ როგორ ხორციელდება დანერილი რეგულაციების აღსრულება, გაწერილ ინსტრუქციებს, როგორც წესი, ფერმერები არ მიჰყვებიან“.

### კვლევის შედეგები

საკვლევ ტერიტორიად შევარჩიე შიდა ქართლის რეგიონი, ვინაიდან ის საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეგიონია, სადაც სასოფლო სამეურნეო დანიშნულებით გამოიყენება 66,237 ჰა მიწა (მიწის ფონდის 95.4%). მიწის ფართობის 74 % უკავია სახნავს, მრავალწლიან ნარგავებს - 21 %, სათიბ-სამოვრებს კი - 5 %.

შიდა ქართლის რეგიონი პირველ ადგილზეა ქვეყანაში ხილის წარმოების მიხედვით. პრიორიტეტულია ასევე მარცვლეული კულტურების წარმოება. ქვემო ქართლისა და კახეთის შემდეგ შიდა ქართლის რეგიონი ბოსტნეულის ერთ-ერთი მსხვილი მწარმოებელია. იწარმოება შემდეგი ბოსტნეული კულტურები: კარტოფილი, ჭარხალი, კომბოსტო, სტაფილო, ხახვი, ნიორი, სატაცური, წიწაკა, ბადრიჯანი და ა.შ. რაც რეგიონის მნიშვნელობას ზრდის. იხილეთ გრაფიკი#2.

გრაფიკი#2. შიდა ქართლის წილი საქართველოს სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში, 2018, ტ/ჰა



მთლიანი დამატებული ღირებულების წილი მცხეთა-მთიანეთის რეგიონთან ერთად საქართველოში შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულების 6.2%-ს შედგენს. რეგიონში დასაქმებულთა 70%-მდე თვითდასაქმებულია ძირითადად სოფლის მეურნეობის მიმართულებით, მაშინ როდესაც სექტორში ნაწარმოები დამატებითი ღირებულების წილი მხოლოდ 20.3%-ია (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019).


რაოდენობრივი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებიდან ირკვევა, რომ ფერმერები საქართველოს ეკონომიკურ მდომარეობას ათბალიან სკალაზე შეფასებისას 3,71 ქულას ანიჭებენ (სადაც 1 აღნიშნავს ძალიან ცუდს, 10 ძალიან კარგს). მათგან 69% თვლის, რომ ქვეყნის ეკონომიკისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი დარგი სწორედ სოფლის მეურნეობაა (მაშინ როდესაც მრეწველობას, ვაჭრობას და ტურიზმს მნიშვნელოვან დარგებად მათი 17-17% ასახელებს).

გამოკითხულ ფერმერთა უმრავლესობას, უფრო კონკრეტულად კი 95,2% მიაჩნია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობას განვითარების საკმაოდ დიდი პოტენციალი აქვს. ქვეყანაში სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარების დონეს ფერმერები საშუალოზე დაბლად

აფასებენს (ათ ბალიან სკალაზე საშუალო შეფასება 3,86 ქულაა, სადაც 1 აღნიშნავს ძალიან ცუდს, 10 ძალიან კარგს).


კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ფერმერები სექტორის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორებად შემდეგ საკითხებს ასახელებენ: სტატეგიული გეგმის არ არსებობა, რომელიც ორიენტირებული იქნება სოფლის განვითარებაზე (დასახელდა 55%-ის მიერ), დაბალტექნოლოგიური მიწათმოქმედება ( 42,9%), დაუხვეწავი კანონმდებლობა ( 19%) (იხ. გრაფიკი #3 ).

გრაფიკი#3 რა მთავარი ფაქტორები აფერხებს სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებას



სწორედ აღნიშნულ გარემოებებზე საუბრობს სოფლის მეურნეობის პოლიტიკის კვლევის ცენტრის (ISET) უფროსის მოადგილე სალომე გელაშვილი, რომელიც აღნიშნავს, რომ სექტორის საკანონმდებლო და მარეგულირებელი გარემო ევროპისა და ამერიკის საკანონმდებლო და მარეგულირებელ გარემოსთან შედარებით სუსტია, დღევანდელ რეალობაში ადგილი აქვს ისეთ პრობლემებს, როგორებიცაა: წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე კონტროლის არ არსებობა; მომხმარებლის დაბალი ცნობიერება იმასთან დაკავშირებით, თუ რა როლი აქვს ფერმერს რეგლამენტის აღსულების პროცესში; რესპოდენტი მიუთითებს რომ თანამედროვე მიდგომა გულისხმობს სახელმწიფოს, მომხმარებლის და კერძო სექტორის ერთიან ძალისხმევას სტანდარტების დანერგვაში.


სახელმწიფოს აგრარული პოლიტიკის შესახებ ფერმერთა 38,1% არ აქვს ინფორმაცია; გამოკითხულთა 31 % არ ეთნხმება მოსაზრებას, რომ სახელმწიფო კონტროლს უწევს აგრარულ სექტორს, ხოლო 16,7% -ს უჭირს აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა (იხილეთ გრაფიკი#4).



**გრაფიკი#4 ფერმერთა დამოკიდებულება სახელმწიფოს აგრარული პოლიტიკის შესახებ**

სოფლის მეურნეობის ზრდის ფაქტორებზე საუბრისას და აგროპოლიტიკის ეფექტიანობის შეფასებისას გამოკითხულთა 54,8% უპირატესობას ანიჭებს ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს მაღალხარისხიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას; 42,9 %-ს პრიორიტეტად მიაჩნია სოფლად სიღარიბის დაძლევა; 33,3% კი თვლის, რომ აუცილებელია გლეხებისა და ფერმერებისთვის ახალი ტექნოლოგიური სიახლეებისა და მეცნიერული მიღწევების შესახებ ინფორმაციის დროული და ეფექტიანი მიწოდების უზრუნველყოფა (იხ. გრაფიკი #5).


**გრაფიკი#5 აგროპოლიტიკის ეფექტიანობის შეფასება**



გამოკითხულთა უმრავლესობა საქართველოს აგრარულ პოლიტიკას ნაკლებეფექტიანად მიიჩნევს (ათბალიან სკალაზე საშუალო შეფასება არის 3,74 ქულა, სადაც 1 ნიშნავს ძალიან ცუდს, 10 ძალიან კარგს).

აგროპოლიტიკის განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორებად ფერმერთა 44% ასახელებს იმ გარემოებას, რომ შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურტების მხრიდან არ ხდება ხელის შეწყობა რათა სოფლის მეურნეობა გახდეს მომგებიანი და შემოსავლიანი დარგი; 31% კი პრობლემას აგრარულ სექტორში დასაქმებული პირებისათვის ფინანსური რესურსების სიმწირეში ხედავს. გამოკითხულთა 43% მიუთითებს, რომ სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო სექტორის განვითარების მხარდასაჭერ ღონისძიებებს არ ახორციელებს (იხილეთ გრაფიკი #6).

გრაფიკი#6 აგროპოლიტიკის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები



კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სასოფლო-სამეურნეო სექტორში განსახორციელებელი ზოგადი ამოცანებიდან ფერმერთა 31%-ს, საქართველოს კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, პრიორიტეტულად მიაჩნია სამელიორაციო და სადრენაჟე სისტემების მოწესრიგება, სეტყვის საწინააღმდეგო მოწყობილობების და მეხამრიდების დამოტაყება, 22% -ს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზარზე ხელმისაწვდომობის ზრდა და თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის არეალის გაფართოება.

ფერმერთა 95,2% კი აღნიშნავს, რომ არ მიუწვდება ხელი სახელმწიფოს მხრიდან მოწოდებულ ფინანსურ, მატერიალურ რესურსებზე (იხილეთ ცხრილი#4).

ცხრილი#4


	აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა	შეღვათიანი აგრიკრედიტი	სასოფლო სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა:	აგროდაზღვევა	დანერგე მომავალი
პროგრამის შესახებ ინფორმირებულობა	52,4%	66,7%	52,4%	73,2%	64,3%
პროგრამით მოსარგებელთა წილი	4,8%	9,5%	14,3%	21,4%	11,9%
პროგრამებით მიღებული სარგებელი	გააფართოვა მეურნეობა	გააფართოვა მეურნეობა	შეიძინა ტექნიკა	გაეზარდა შემოსავალი	გაეზარდა შემოსავალი
10 ბალიან სკალაზე პროგრამებს შეფასების საშუალო ქულა	3,79	4,13	4,29	4,46	4,29
პროგრამით არ სარგებლობის მიზეზი	ინფორმაციის ნაკლებობა 44,4%	ინფორმაციის ნაკლებობა 37%	არის ინფორმაციის ნაკლებობა 41,7%	ინფორმირებულობის ნაკლებობა 44,0%	ინფორმაციის ნაკლებობა 45,2%
უარი პასუხებზე	23,8%	16,7%	16,7%	16,7%	21,4%

ემპირიული მონაცემები გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო მის მიერ განხორციელებული პროგრამების ცნობადობის გაზრდასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს ატარებს მხოლოდ წელიწადში ერთხელ, რაც დაბალი ინტენსივობაა. აღნიშნულ ფაქტს ისე გარემოებაც ამტკიცებს, რომ გამოკითხულ ფერმერთა უმრავლესობა პროგრამით არ სარგებლობის მიზეზად არაინფორმირებულობას მიიჩნევს და ზოგადად მათ სოფელში პროგრამებით მოსარგებლეთა რაოდენობას 5-დან 19%-ის ფარგლებში ასახელებს.

შიდა ქართლში მცხოვრებ ფერმერებს სასოფლო სამეურნეო წარმოების ერთ-ერთ ხელშემშლელ ფაქტორად კოოპერატივების არ არსებობა მიაჩნიათ. თვლიან რომ სასურველი იქნება საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და ამ კუთხით, სახელისუფლებო ორგანოების მხრიდან საინფორმაციო კამპანიების ინტენსიურად ჩატარდება.

საქართველოს პარლამენტმა 2013 წლის 12 ივლისს მიიღო კანონი “სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ”. შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი, „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“, რომელიც კოოპერატივებისთვის სტატუსის მინიჭებას, შეწყვეტას, მონიტორინგსა და სახელმწიფო პროგრამების განხორციელებას უზრუნველყოფს. ქვეყანაში 2014 წლიდან დღემდე 2000-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი შეიქმნა, თუმცა 1000-ზე მეტს სტატუსი შეუჩერდა, დღესდღეობით საქართველოს მასშტაბით, 1028 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივია რეგინების მიხედვით ისინი შემდეგნაირად გამოიყურება (იხ.გრაფიკი #7).

გრაფიკი #7. ქვეყნის მასშტაბით კოოპერატივების რაოდენობა



წყარო: (სასოფლო-სამეურნეო განვითარების კოოპერატივების სააგენტო, 2019)

### დასკვნა

კვლევამ აჩვენა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მიწის რეფორმა ხარვეზებით განხორციელდა, შედეგად გლეხური მეურნეობები მრავალი პრობლემისა და გამოწვევის წინაშე აღმოჩნდნენ: საბაზრო ინფრასტრუქტურის გაუმართაობა, გაცვეთილი ტექნიკური საშუალებები, მოძველებული ტიპის ტრანსპორტი და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა ვერ უზრუნველყოფდა მოსავლიანობის ზრდას.

ევროპის ბაზარის შემთხვევაში, რომელიც საკმაოდ მიმზიდველია თავისი მოცულობითა და მყიდველუნარიანი მოსახლეობით ყურადღება აქვს დათმობილი კოოპერატივების სუბსიდირების და მათ მიმართ შეღავათიანი საგადასახადო პოლიტიკის გატარებას, ვინაიდან საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მწირი სასოფლო-სამეურნეო ბაზრის პირობებში კოოპერაციულ საწყისებზე დაფუძნებული სისტემა ყველაზე უფრო წარმატებულია, ვინაიდან მცირე ფერმერებს საშუალება ეძლევათ სამომხმარებლო და სარეალიზაციო ბაზრებზე შეძლონ სავაჭრო პოტენციალის გამყარება. შიდა ქართლის რეგიონის მაგალითზე კი აბსოლიტურად განსხვავებულ რეალობასთან გვაქვს საქმე, ფერმერები საუბრობენ კოოპერატივების აუცილებლობაზე და აღნიშნავენ რომ ამ კუთხით სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები ქმედით ნაბიჯებს არ დგამენ, პრობლემები შესაძლოა ვეძებოთ დარგში სპეციალისტების ნაკლებობაში და ფერმერთა განათლების დაბალი დონეში.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ გამოკითხულ ფერმერთა უმრავლესობა საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორს მიიჩნევს ერთ-ერთ პერსპექტიულ დარგად, თუმცა თვლიან რომ მისი განვითარების დონე საკმაოდ დაბალია, რაც გამოწვეულია სოფელზე ორიენტირებული სტრატეგიული გეგმის არარსებობით და დაბალტექნოლოგიური მიწათმოქმედებით. სასოფლო-სამეურნეო სექტორში წინაშე მდგარი ამოცანებიდან შიდა ქართლში მცხოვრებ ფერმერებს პროირტიტულად მიაჩნიათ სამელიორაციო და სადრენაჟე სისტემების მოწესრიგება, სექტვის საწინააღმდეგო მოწყობილობების და მეხამრიდების დამოტაჟება.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებულ პროექტების შეფასებისას ფერმერები აღნიშნავენ, რომ უმეტეს მათგანს უსარგებლია „აგროდაზღვევით“ თუმცა ათბალიან სკალაზე შეფასებისას პროგრამებს საკმაოდ დაბალი მაჩვენებლით აფასებენ და მიუთითებენ, რომ ისინი არაეფექტიანი და არ არის გათვალისწინებული ფერმერთა ინტერსები პროგრამების შემუშავებისას. კვლევამ ცხადყო, რომ აუცილებელია რეგულაციების ადაპტირება საქართველოს კონკრეტული პირობებისადმი; ვინაიდან საკმაოდ სხვაობა ფერმერების და სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლების პოზიციებს შორის. ამავე დროს, იმ ფერმერების ხედვა, რომლებიც მუშაობენ ბიზნეს პროექტებზე ბევრად განსხვავდება იმ გლეხის ხედვისგან რომლებიც არ მონაწილეობენ პროექტებში

შიდა ქართლის რეგიონის მოსახლეობასთან ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში აქტიურად მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი და განსავითარებელი პროექტების განხორციელება, თუმცა რესპოდენტების შეფასებით ასეთი პროექტები არაეფექტიანია. ქვეყანაში ბაზარი და მწარმოებელი არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. ფერმერები საუბრობენ მძიმე სოციალურ ფონზე და აღნიშნავენ, რომ ქვეყანის ხელისუფლება არ ცდილობს ხელის შეწყობას რათა სოფლის მეურნეობა გახდეს მომგებიანი და შემოსავლიანი დარგი. მთავარ პრობლემად მათ აგრარულ სექტორში დასაქმებულ პირებს მიაჩნიათ, რომ ფინანსური რესურსები მათთვის ნაკლებად ხელმისაწვდომია. მათი აზრით, მიზანშეწონილია თუ შესაბამისი სტრუქტურების წარმომადგენლები დეტალურად შეისწავლიან იმ პრობლემათა ჩამონათვალს, რომლებიც ფერმერულ მეურნეობებშია და ეკონომიკურად სწორ გათვლებზე იქნებიან ორიენტირებულნი.

**ბიბლიოგრაფია:**

United States Department of Agriculture Rural. (2019). *www.rd.usda.gov*. მოპოვებული <https://www.rd.usda.gov/programs-services/all-programs/cooperative-programs-დან-agri-cooperatives>, E. (2015). DEVELOPMENT OF AGRICULTURAL COOPERATIVES IN THE EU. Brussels: [http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/Tamar-Ghutidze\\_Disertacia\\_2017.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Tamar-Ghutidze_Disertacia_2017.pdf).

agri-cooperatives, European. (2015). *DEVELOPMENT OF AGRICULTURAL COOPERATIVES IN THE EU*.-ში

EUROPE FOR GEORGIA. (2017). ევროკავშირის აგრარული პოლიტიკა: ფერმების გამსხვილება და მისი შედეგები. *EUROPE FOR GEORGIA*.

Fernández-Olmos. (2013). The Direct or Indirect Exporting Decision in Agri-food Firms. *The Direct or Indirect Exporting Decision in Agri-food Firms*. მოპოვებული Agri-food Cooperatives Spain: [http://www.agro-alimentarias.coop/5/uk/5\\_1\\_1.php-დან](http://www.agro-alimentarias.coop/5/uk/5_1_1.php-დან)

Food and Agriculture Organization. (თ. გ.). მოპოვებული <http://www.fao.org/about/en/-დან>

- Food and Agriculture Organization of the United Nations. (2015). Food and Agriculture Organization of the United Nations. *FAO*. მოპოვებული Food and Agriculture Organization of the United Nations: <http://www.fao.org/about/en/>-დან
- Hays, J. (2013). IN JAPAN. *AGRICULTURE IN JAPAN*. მოპოვებული JAPAN AGRICULTURAL COOPERATIVES: <http://factsanddetails.com/japan/cat24/sub159/item1806.html>-დან
- ISET Economist Blog. (2018). *სოფლის მოსახლეობის დასაქმება აგრარულ სექტორში*. თბილისი: Iset Policy Institute. მოპოვებული სოფლის მოსახლეობის დასაქმება აგრარულ სექტორში: <http://www.iset-pi.ge>-დან
- Iset Policy Institute. (2019). <http://iset-pi.ge/index.php/ka/agri-review/2252-sektemberii-2018-agro-mimokhilva>.
- Kamrujjaman, w. a. (თ. გ.). *www.quora.com*. მოპოვებული <https://www.quora.com/What-are-OECD-countries>-დან
- Meier. (1998). Nuclear Agro Industrial Complex for the Future. გვ. 419-425.
- Owens. (2019). World Agricultural Development. გვ. 142-149.
- Rural Business-Cooperative Service. (2019 წლის United States Department of Agriculture Rural Development). *Rural Business-Cooperative Service*. მოპოვებული USDA: <https://www.rd.usda.gov/>-დან
- Sherman. (2008). Culture and Social Support. *American Psychologist*, გვ. 520-521.
- Turland. (2019 წლის OCTOBER). Farmers' willingness to participate in a big data platform. *Agricultural Economics & Policy*. მოპოვებული national geographic: <https://onlinelibrary.wiley.com/doi/abs/10.1002/agr.21627>-დან
- Welton, G. (2013). Comparative Analysys of Agricukture in the South Caucasus. 15-20.
- Wolak, L. (2019). *Agricultural Co-ops*. Agricultural Co-ops. მოპოვებული <https://cooperativesforabetterworld.coop/global-cooperatives/>-დან
- ევროპის კავშირის სამეზობლო პროგრამა. (2012). სოფლის განვითარების სისტემის შეფასება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში. *ევროპის კავშირის სამეზობლო პროგრამა*, გვ. 27-29.
- მიწის შესახებ საქართველოს კანონმდებლობათა კრებული. (2001). მ. მ. დეპარტამენტი.-ში თბილისი.
- მუსხელიშვილი. (2012). სოციალური კაპიტალის როლი საქართველოს სოფლის განვითარებაში. თბილისი: საზოგადოებრივი კვლევის ცენტრი.
- პატნემი. (2013). *როგორ ვამუშაოთ დემოკრატია* (გვ. 45-46).-ში
- სასოფლო-სამეურნეო განვითარების კოოპერატივების სააგენტო . (2019). თბილისი .
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. (2019). თბილისი: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. მოპოვებული საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: <https://www.mepa.gov.ge/Ge/Projects/Details/26>-დან

(2012). *საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია*. თბილისი: ფონდი ლიბერალური აკადემია.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. (თ. გ.). ამერიკის ეკონომიკა. *მსოფლიო ეკონომიკა*.

საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია. (2017-2020).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2019). *სოფლის მეურნეობის სტატისტიკა*. თბილისი. მოპოვებული [https://www.geostat.ge/media/13772/Press-release-GDP-2017\\_Geo.pdf](https://www.geostat.ge/media/13772/Press-release-GDP-2017_Geo.pdf)-დან

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2019). *სოფლის მეურნეობის სექტორის ზოგადი სტატისტიკა*. თბილისი: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მოპოვებული [https://www.geostat.ge/media/24487/soflis-meurneoba\\_2018.pdf](https://www.geostat.ge/media/24487/soflis-meurneoba_2018.pdf)-დან

სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამინისტრო. (2019). *სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო*. მოპოვებული <http://arda.gov.ge/projects/read/agroinsurance/4:parent:> <http://www.arda.gov.ge/>-დან

სუმბაძე, ნ. (2012). *თაობები და ღირებულებები*. თბილისი: საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი.

შატერაშვილი, ო. (2017). ევროპული ინტეგრაცია და საინოვაციო პროცესები სოფლის მეურნეობაში. *ახალი აგრარული საქართველო*.

*საქართველოს სოფლის მეურნეობა 2004* (გვ. 57-70). თბილისი.



9/11-ის როლი ბუშის დოქტრინის ჩამოყალიბებაში და მისი გავლენა ამერიკის საგარეო  
პოლიტიკის წარმართვაზე

მარიამ მამულაშვილი

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა  
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: [mariamiii1999@gmail.com](mailto:mariamiii1999@gmail.com)

## აბსტრაქტი

მოცემული სტატიის მიზანია განსაზღვროს, თუ რა რეზონანსი მოჰყვა 11 სექტემბრის ტერაქტს ჯორჯ ბუშ უმცროსის დოქტრინის ჩამოყალიბებაში და როგორ განახორციელა ბუშმა თავისი დოქტრინა საგარეო პოლიტიკაში. ასევე, ნაშრომი მიზნად ისახავს შეაფასოს ბუშის მიერ მისი დოქტრინის ფარგლებში გადადგმული ნაბიჯები საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე.

მოცემული სტატია მეთოდოლოგიურად განეკუთვნება თვისებრივი კვლევის კატეგორიას. იმისთვის, რომ პასუხი გავცეთ საკვლევ კითხვას - რა გავლენა ჰქონდა 9/11-ის ტერაქტს ამერიკის შემდგომი საგარეო პოლიტიკის წარმართვაზე და მისი როლის ჩამოყალიბებაზე თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში, ნაშრომი წარმოადგენს სხვადასხვა მონოგრაფიებზე, სტატიებსა და წიგნებზე დაყრდნობით მეცნიერების და ანალიტიკოსების შეფასებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ასევე მოცემულია სხვადასხვა პირველადი წყაროების (პოლიტიკოსთა მიმართვები, მოხსენებები, ინტერვიუები, სახელმწიფო დოკუმენტები) განხილვა და შეფასება.

სტატიის შესავალში მოცემულია 11 სექტემბრის ტერაქტის მნიშვნელობა მსოფლიო დონეზე, მისი გავლენა საერთაშორისო პოლიტიკის ცვლილებებსა და ზოგადად ტერორიზმის აღქმაზე. ძირითად ნაწილში განხილულია 11 სექტემბრის ტერაქტის გავლენა ბუშის დოქტრინის ჩამოყალიბებაზე, ამ ნაწილში ჩვენ ვადაგენთ კავშირს როგორც ჯერვისის მიერ გამოყოფილი ბუშის დოქტრინის 4 ძირითად პრინციპსა და 9/11-ს ტერაქტს შორის. ნაშრომის მომდევნო ნაწილებში მოცემულია ბუშის დოქტრინის განხორციელება ერთ-ერთი ქეისის განხილვის მაგალითზე და მისი პოლიტიკის კრიტიკა.

საბოლოოდ, კვლევით დგინდება, რომ 9/11 იყო მოვლენა, რომელმაც ამერიკის პრეზიდენტი საკმაოდ მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენა და ბუშმა თავისი დოქტრინით და საგარეო პოლიტიკით მოახერხა ადეკვატურად ეპასუხა ამ გამოწვევისთვის.

**საკვანძო სიტყვები:** საგარეო პოლიტიკა, 11 სექტემბრის ტერაქტი, ტერორიზმი, ბუშის დოქტრინა, ამერიკის შეერთებული შტატები.

## შესავალი

დღესდღეობით ტერორიზმი განიხილება, როგორც თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა. ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორებიცაა გაერო, ნატო, ევროკავშირი აქტიურად ცდილობენ აღმოფხვრან ტერორიზმი. გაეროს რიგით მეშვიდე გენერალური მდივანი კოფი ანანი ტერორიზმს განმარტავს შემდეგნაირად: „ტერორიზმი არის გლობალური საფრთხე გლობალური ეფექტებით... თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ეს არის თავდასხმა სამართლის, წესრიგისა და ადამიანის უფლებების ფუნდამენტურ პრინციპებზე” (Annan, 2005). მაგრამ ტერორიზმს ყოველთვის ამხელა მნიშვნელობას როდი ანიჭებდნენ. რასაკვირველია, ტერორიზმი საუკუნეების განმავლობაში არსებობდა და მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ქვეყნებს მე-20 საუკუნეში უდიდესი ზარალი მიადგათ ტერორისტული აქტების შედეგად (1946 წლის 22 ივლისს ბრიტანეთის წინააღმდეგ მოწყობილი ტერორისტული აქტი, 1978 წლის 19 აგვისტოს ირანში განხორციელებული ტერორისტული აქტი, რომელსაც 470 ადამიანის სიცოცხლე

შეეწირა, 1988 წლის 21 დეკემბერს ასევე დიდ ბრიტანეთში ტერორისტების მიერ ბომბის აფეთქების შედეგად 270-მდე მგზავრი დაიღუპა, 1998 წლის 7 აგვისტოს ტერორისტული აქტი ამერიკის საელჩოზე და ა.შ.), სწორედ 9/11 იყო ის მოვლენა, რომელმაც აიძულა მსოფლიო ტერორიზმი ჩათვალა თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთ უმთავრეს საფრთხედ. 12 სექტემბერს ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ წინა დღეს განხორციელებული თავდასხმა გამოაცხადა თავდასხმად ყველა წევრ სახელმწიფოზე, ეს იყო პირველი შემთხვევა როდესაც ამოქმედდა ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლი (North Atlantic Council, 2001). მომდევნო დღეებში ფრანგულმა ჟურნალმა „Le Monde“-მა, რომელიც ამერიკის მიმართ სიმპათიებით ნაკლებად გამოირჩეოდა, გამოაქვეყნა სტატია, სათაურით – „დღეს ყველანი ამერიკელები ვართ“ (Colombani Le M.- 2001). ევროკავშირი და ევროკომისია შეთანხმდნენ ტერორიზმის საერთო განმარტებაზე და სხვა უამრავი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. ამის ფონზე, საინტერესოა, თუ როგორ შეცვალა ნიუ-იორკსა და ვაშინგტონზე განხორციელებულმა თავდასხმამ თავად ამერიკის პოლიტიკა. აღსანიშნავია, რომ შემდეგში მსოფლიო ჰეგემონის მოქმედებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საერთაშორისო სისტემაზე.

XX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული აშშ-ის პრეზიდენტის როლი კონგრესთან შედარებით ბევრად გაიზარდა, ეს განაპირობა იზოლაციონიზმის პოლიტიკაზე უარის თქმამ და ხელისუფლების მეტად ჩარევამ ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებში. ხოლო პრეზიდენტი ფრანკლინ დელანო რუზველტის „ახალი კურსიდან“ მოყოლებული, მათ „თავისუფალი სამყაროს ლიდერთა მანტიაც მოიხურეს“. ამასთან ერთად უფრო მეტად გაიზარდა პრეზიდენტის როლი საგარეო საკითხების განსაზღვრაში. ამის ნათელი მაგალითი იყო ჯონსონის და შემდგომ ნიქსონის მიერ ვიეტნამში შეჭრა კონგრესის თანხმობის გარეშე (Hewood, 2007. გვ. 448-455). ამიტომაც ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა პრეზიდენტ ბუშის დოქტრინა ანუ პრეზიდენტის საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში მთავარი ფუძემდებლური დოკუმენტი.

### ლიტერატურის მიმოხილვა

ამერიკის 43-ე პრეზიდენტის ჯორჯ უოლკერ ბუშის დოქტრინა განხორციელდა 2001-2009 წლებში. დოქტრინა საკმაოდ ამბიციური იყო და გულისხმობდა ხისტი პოლიტიკის გატარებას. ამ დოქტრინას საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტებს შორის არაერთგვაროვანი გამოხმაურება ჰქონდა.

ამერიკელი ისტორიკოსის და განმანათლებლის, ვირჯინიის უნივერსიტეტის ლექტორის მელვინ ლეფლერის თანახმად, „ბუშის ადმინისტრაციას ჰქონდა სწორი სტრატეგია, მაგრამ მისი განხორციელება მოხდა არასწორად“ (Leffler, 2009).

ბუშის დოქტრინას ავტორები უმეტესად აკრიტიკებენ სამი მიმართულებით: ბუშის დოქტრინის განხორციელების შედეგად სამხედრო ძალის გამოყენებამ ამერიკული გავლენა შეასუსტა როგორც ევროკავშირში, ასევე ახლო აღმოსავლეთში. საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი თეორეტიკოსი ჯონ ჯ. მიერშიმერი თავის წიგნში ამბობს, რომ ბუშის დოქტრინა იყო არაეფექტური თავისი მიზნების მიღწევის თვალსაზრისით. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ბუშის დოქტრინას ჰყავდა საკმაოდ ბევრი მოწინააღმდეგე არა მარტო ქვეყნის გარეთ, არამედ ქვეყნის შიგნითაც. მან

გამოიწვია ანტიამერიკანიზმი და გლობალური უკან დახევა დემოკრატიზაციის თვალსაზრისით (Mearsheimer, 2018).

ზოგიერთი ავტორი ბუმს აკრიტიკებს, რადგან სტაბილური დემოკრატიული ინსტიტუტები, როგორც წესი, არსებულ დემოკრატიულ კულტურას ეყრდნობა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხარისხით გამოირჩევა. ამის არგათვალისწინება და დემოკრატიის ძალით თავსმოხვევის სტრატეგია, რბილად რომ ვთქვათ, მართლაც გულუბრყვილობა გამოდგა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული ნაწილის თვალსაზრისით ბუმის დოქტრინა მიზნად ისახავდა არა დემოკრატიული რეჟიმების მხარდაჭერას, არამედ იმ მთავრობების მხარდაჭერას, რომლებიც მეგობრულად იყვნენ განწყობილნი ამერიკის მიმართ (Harries და ა.შ. ).

აშშ-ის საგარეო პოლიტიკა, ზოგის მტკიცებით, იყო იმპერიალისტური ამბიციების გამოხატვა. სამხედრო რესურსი და უნილატერალიზმისკენ გადახრა თავად მას აქცევს სარისკო სუპერძალად სხვა სახელმწიფოების თვალში. ამერიკელი პროფესორის ბეტ სიმონოს აზრით, ამერიკისადმი სანდოობა შეამცირა მულტილატერალიზმის ორმაგმა სტანდარტმა, „ჩვენ უნდა გავაკეთოთ ეს, მაგრამ თქვენ არ შეგიძლიათ ამის გაკეთება“. ამერიკამ დაკარგა სანდოობა, რადგან ის არ ცხოვრობდა იმ წესების მიხედვით, რომლითაც დანარჩენი მსოფლიო (Simmonos B. Paternot E. Coffin R).

### **9/11: დღე რომელმაც მსოფლიო შეცვალა**

2001 წლის 11 სექტემბერს თვითმკვლელი ტერორისტების 19 კაციანმა ჯგუფმა გაიტაცა ოთხი სამგზავრო თვითმფრინავი, ორი მათგანი ნიუ-იორკში განზრახ დაეჯახა ტყუპების სახელით ცნობილი მსოფლიო სავაჭრო ცენტრის შენობას, ერთ-ერთი მათგანი გაემართა ვაშინგტონისკენ და შეეჯახა პენტაგონის შენობას, ხოლო მეოთხე თვითმფრინავმა ვერ მიაღწია განსაზღვრულ მიზანს, ქალაქ შენსკვილის მახლობლად ტყეში ჩამოვარდა თუმცაღა სავარაუდოა რომ მისი მიზანი თეთრი სახლი ან კაპიტოლიუმი უნდა ყოფილიყო ( Pressler, 2011). ტერაქტის შედეგად დაიღუპა 3000-მდე ადამიანი, 11 სექტემბრის ტერაქტის შედეგად მიყენებული ზარალის ზუსტი ციფრი უცნობია. 2006 წელს აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშ უმცროსმა განაცხადა, რომ მატერიალურმა ზარალმა ყველაზე დაბალი შეფასებით, 500 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია. 2001 წლის ოქტომბერში თავდასხმაზე სრული პასუხიმგებლობა ალ ქაიდამ აიღო. აღნიშნული ტერორისტული აქტი ერთი მხრივ მიზნად ისახავდა აშშ-სადმი პროტესტის გამოხატვას შუა აღმოსავლეთის პოლიტიკურ საქმიანობაში ჩარევისთვის.

### **ტერაქტის მიზეზები**

მოგეხსენებათ 1990 წელს ერაყი თავს დაესხა ქუვეითს, რის შედეგადაც დაიწყო სპარსეთის ყურის მეორე ომი. 1991 წელს 34 ქვეყნის კოალიცია ჩაერია კონფლიქტში ერაყის წინააღმდეგ, რასაც საბოლოოდ მოჰყვა მისი დამარცხება. აღნიშნული ფაქტი ისლამური სამყაროს ნაწილისთვის სერიოზულ კრიზისს წარმოადგენდა. პირველ რიგში იმიტომ რომ არაბი მუსლიმი დაუპირისპირდა არაბ მუსლიმს, მეორე ამ დაპირისპირებაში ჩაერთო ამერიკის შეერთებული შტატები და სხვა არაარაბული ქვეყნები. რატომ იყო ეს მოვლენა კრიზისი მუსლიმური ქვეყნებისთვის? ამის პასუხი

შესაძლოა მივიღოთ ისლამურ სარწმუნოებიდან: მუსლიმებისთვის მექა, სადაც მუჰამედი დაიბადა არის წმინდა ადგილი, იმდენად წმინდა, რომ არამუსლიმანის ამ ქალაქში შესვლა არაა დაშვებული. ზოგისთვის კი ეს სიწმინდე მთლიანად საუდის არაბეთზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ვრცელდება, შესაბამისად გასაგებია რატომ იყო მიუღებელი აშშ-ს მეთაურობით ინტერვენცია. (Kibble, 2002) ასევე შესაძლოა მოვიშველიოთ სემუელ ჰანტინგტონის ნაშრომი „ცივილიზაციათა შეხლა“, მის მიხედვით განსხვავებული ცივილიზაციებს შორის დაპირისპირების მიზეზთაგან ერთ-ერთია ბრძოლა მორალურ ფასეულობებისა და კულტურისათვის. ჰანტინგტონის მიხედვით მსგავსი კონფლიქტი წარმოიშობა მაშინ, როცა სახელმწიფო, სხვა ცივილიზაციათა ხალხებთან ურთიერთობის დროს ცდილობს დანერგოს და თავს მოახვიოს მათ საკუთარი ფასეულობები (Huntington-1996). შესაბამისად, დასავლეთის ქვეყნების ლიდერ სახელმწიფოზე თავდასხმა შეიძლება განვიხილოთ როგორც საპასუხო აქტი მათ მიერ თავს მოხვეული ღირებულებების წინააღმდეგ. უნდა აღვნიშნოთ რომ ტერორისტული თავდასხმა მიზნად ისახავდა იმის ჩვენებას თუ რამდენად უსუსური აღმოჩნდა ამერიკის თავდაცვისუნარიანობა ამგვარი ბრძოლის წინააღმდეგ, რაც მის ყოველმხრივ ძლიერებას ეჭვის ქვეშ აყენებდა. (CNN – 2016) ვფიქრობ ტერორისტებმა მიზანს მიაღწიეს ამერიკის უსუსურობა მსოფლიოსთვის ნათელი გახდა, მაგრამ ასევე ცხადი გახდა რომ დანარჩენი მსოფლიოც ასევე უსუსური იყო ამგვარ ბრძოლაში, ტერორისტებმა თანამედროვე სამყაროს შემდგომი მოქმედების მიმართულება მისცეს. ალ ქაიდას ლიდერი ოსამა ბინ ლადენი იმედვონებდა რომ მსგავსი აქტით აიძულებდა აშშ-ს შეემცირებინა მისი გავლენა შუა აღმოსავლეთში, რაც თავად მას გზას მისცემდა საკუთარი გავლენის გაძლიერებისათვის. (Bergen P.-2016)

თავდასხმის დროს პრეზიდენტი ბუში ფლორიდის შტატის ქალაქ სარასოტას ერთ-ერთ დაწყებით სკოლას სტუმრობდა. ჩრდილოეთის კომუზე შეჯახების შემდეგ კანცელარიის უფროსმა ენდრიუ კარდმა პრეზიდენტს შეატყობინა რომ ამერიკას თავს დაესხნენ. პრეზიდენტმა სკოლის დატოვებამდე გააკეთა განცხადება, რომელიც შემდეგი სიტყვებით დაამთავრა: „ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ტერორიზმი მარცხისთვის არის განწირული“. (Bush - 2001) სწორედ ამ დღეს დაიწყო თავისი საგარეოპოლიტიკური დოქტრინის ამოქმედება ბუშმა და გამოაცხადა „ომი ტერორიზმთან“.

### 9/11 და ბუშის დოქტრინა

რობერტ ჯერვისმა 2003 წლის ნაშრომში „ბუშის დოქტრინის ახსნა“ (Jervis-2003 365-388) ჩამოაყალიბა 4 პრინციპი, რომელთა ჩარჩოებშიც ხდებოდა ბუშის საგარეო პოლიტიკის განხორციელება. სწორედ ამ პრინციპების გათვალისწინებით განვიხილავ ბუშის დოქტრინას. ცივი ომის დასრულების შედეგ აშშ-ს სერიოზული საზრუნავი გაუჩნდა, საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტების და და ქვეყნის ინტერესების განსაზღვრის თვალსაზრისით. „ისტორიის დასასრულის“ შემდეგ ყველაზე აშკარა საფრთხე, სსრკ გაქრა და ერთპოლუსიანი სისტემის ცენტრში მოქცეული ამერიკისთვის საჭირო გახდა საფრთხეთა ახალი გაცნობიერება და შეფასება.

ამერიკის შეერთებულ შტატებში კვლავ გაძლიერდა ტრადიციული დაპირისპირება ე.წ. იზოლაციონისტებსა და იმ ხალხს შორის, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ ამერიკამ საკუთარი ეროვნული უსაფრთხოებისათვის გლობალურ დონეზე უნდა იზრუნოს და აქტიურად იმოქმედოს

საერთაშორისო ასპარეზზე. თავად ბუშის პრეზიდენტობის დასაწყისში ზოგიერთი პოლიტიკოსი მას ადანაშაულებდა, რომ საგარეო ურთიერთობებს არ აქცევდა ყურადღებას, 11 სექტემბრის მოვლენებმა აშკარად შეცვალა აღნიშნული ვითარება: პრეზიდენტისთვის ცხადი გახდა, რომ ამერიკა ჭეშმარიტად გლობალური ძალისაა და ამ ავტორიტეტის მქონე სახელმწიფოს ლიდერი არ შეიძლება საგარეო ურთიერთობებს არ უთმებდეს შესაბამის ყურადღებას. ეს აზრი ბუშის შემდეგ სიტყვებში და მისი დოქტრინის **მეოთხე პრინციპში** გამოიხატა: „მსოფლიო დღეს უფრო ურთიერთდაკავშირებულია, ვიდრე ადრე. ჩვენი ეკონომიკა, ყოველი ამერიკელის ცხოვრების დონე, პირველ რიგში, დამოკიდებულია ჩვენს პოზიციასზე მსოფლიოში“. ხოლო დოქტრინის მეოთხე პრინციპი გულისხმობს რომ ამერიკის როლი საერთაშორისო სისტემაში არა მხოლოდ მისი მოსახლეობის კეთილდღეობისთვის, არამედ თავად საერთაშორისო სისტემის მშვიდობიანობისა და სტაბილურობისთვისაც აუცილებელია.

9/11 –ის შემდეგ ამერიკელებმა დაინახეს რომ საერთაშორისო ტერორიზმისაგან, თუ მას საგანგებოდ და გლობალურ დონეზე არ შეებრძოლე, ვერც უზარმაზარი სამხედრო ძალა, ვერც მსოფლიოში უძლიერესი ეკონომიკა და ტექნოლოგიები დაგიცავს. ამის გააზრებამ გამოძახილი პოვა ბუშის დოქტრინის პირველ და მეორე პრინციპში. **პირველი პრინციპი** გულისხმობდა რწმენას, რომ საშინაო პოლიტიკის ხასიათი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საგარეო პოლიტიკას, ამ პრინციპის საფუძველზე ბუშმა დაიწყო „დემოკრატიის მსოფლიოში გავრცელების“ პოლიტიკა, რომელიც ახლო აღმოსავლეთში, წარმოადგენდა ტერორიზმთან ბრძოლის სტრატეგიას.

როგორც ვიცით, ცივი ომის შემდგომ დამყარებულმა ახალმა მსოფლიო წესრიგმა „ლიბერალური მშვიდობის“ დამყარებას გაუხსნა გზა, რომლის საფუძველზედა შემდეგი პრინციპები იქცნენ: კონფლიქტების გადაჭრის მხოლოდ მშვიდობიანი გზის აღიარება, წინააღმდეგობის გაწევა აგრესიისა და ექსპანსიონიზმისადმი, საბრძოლო არსენალის შემცირება და კონტროლი და ა.შ. (Hewood, 2007 186-190) 9/11-მა ამ მხრივაც იქონია გავლენა ბუშის პოლიტიკაზე, ვინაიდან ამ პრინციპებს აშკარად უარყოფდა ბუშის დოქტრინის **მეორე პრინციპი**, რომლის მიხედვით არსებობს საფრთხეები რომელიც ძალის გამოყენებით უნდა დამარცხდეს - მათ შორის პრევენციული ომებით. „საფრთხეებში“ აშკარად პირველი, რაც მოიაზრებოდა, ეს იყო საერთაშორისო ტერორიზმი და შესაბამისად ბუშის მრავალი ნაბიჯი გამოხატავდა პრევენციულ ომს ტერორიზმის წინააღმდეგ. რაც შეეხება რობერტ ჯერვისის მიერ გამოყოფილ **მესამე პრინციპს**, რომელსაც ეყრდნობოდა ბუშის საგარეო პოლიტიკა, იგი გულისხმობდა უნილატერალიზმს - ადმინისტრაციის სურვილს, საჭიროების შემთხვევაში ემოქმედა სხვა სახელმწიფოებისაგან დამოუკიდებლად. ეს პრინციპი წარმოადგენდა ამერიკისთვის უფლებას სხვა ქვეყნების მხარდაჭერის გარეშე თავს დასხმოდა იმ ქვეყნებს, რომლებიც იფარავდნენ და დახმარებდნენ უწევდნენ ტერორისტებს. (The White House, 2002) ბუშის დოქტრინის თითოეული პრინციპი რა თქმა უნდა გარკვეულ ხარვეზს შეიცავს, მაგრამ მთლიანობაში ბუშის დოქტრინა წარმოადგენდა არსებულ პირობებში კარგ სამოქმედო იარაღს ტერორიზმის წინააღმდეგ. იტყვიან, რომ ამგვარმა ტექტიკამ ვერ დაამარცხა ტერორიზმი და ვერ მიაღწია თავის მიზანს, მაგრამ ეს ის შემთხვევა, როცა რაიმე მიზანი მიმართულებას გაძლევს და ამითაა ღირებული. ყოველთვის მოიძებნება უკეთესი და უარესი ალტერნატივები. ბუშის დოქტრინას ჰქონდა ძალიან მცირე რაოდენობის უკეთესი ალტერნატივა, და ვფიქრობ რაციონალურ პოლიტიკას გამოხატავდა არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე.

**ბუშის დოქტრინის განხორციელება.**

თავის ერთ-ერთ გამოსვლაში ბუშმა ამერიკას შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ჩვენ ერთმანეთისაგან არ ვანსხვავებთ ტერორისტებს, ვინც ჩაიდინა ეს საშინელი დანაშაული, და იმათ ვინც მათ მფარველობს”. პირველი მოქმედება, რომელიც აშკარად ექვემდებარებოდა ბუშის დოქტრინას იყო სამხედრო იერიში ავღანეთში, რასაც სულ რამდენიმე კვირაში თალიბანის რეჟიმის ჩამოგდება მოჰყვა. 2002 წლის იანვარში, პრეზიდენტმა ბუშმა ერაყს, ირანსა და ჩრდილოეთ კორეას „ბოროტების ღერძი” უწოდა (Bush, 2002). მოგვიანებით ამ სიას კუბა, სირია და ლიბიაც დაემატა.

ბუშის დოქტრინის მოქმედების მაგალითს წარმოადგენდა აშშ-ს ინტერვენცია ერაყში. როგორც ნორმან ორნშტეინმა (ვაშინგტონში მოქმედი პოლიტიკური კვლევის ცენტრის წარმომადგენელი) განაცხადა, „თუ ჰარი ტრუმენის პრეზიდენტობას იხსენებენ ცივი ომის დაწყების ნიშნით, ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობა ერაყში ომის დაწყებით იქნება დასამახსოვრებელი”. ამიტომაც ვთვლი საჭიროდ, უფრო კონკრეტულად განვიხილოთ აღნიშნული ქეისი. მრჩეველი, რიჩარდ კლარკი იხსენებს, რომ ჯერ კიდევ 2001 წლის 11 სექტემბრის საღამოს, საგანგებო შეხვედრაზე თავდაცვის მდივანმა დონალდ რამსფელდმა, სადამ ჰუსეინის რეჟიმის დემონტაჟის აუცილებლობაზე ისაუბრა. ხოლო ბუშმა გასცა მითითება, რომ მოეძებნათ ყველაფერი, რაც დააკავშირებდა ერაყის ხელისუფლებას ამ ტერაქტთან. 2002 წლის განმავლობაში რიტორიკის დონეზე, როგორც პრეზიდენტი, ისე ვიცე-პრეზიდენტი და თავდაცვის მდივანი საჯარო გამოსვლაში არ მალავდნენ, რომ ადმინისტრაციის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ახლო აღმოსავლეთში სადამ ჰუსეინის მოშორება იყო. 2003 წლის 5 თებერვალს კოლინ პაუელმა შემდეგ ლეგენდარულად ქცეულ გამოსვლაში, გაეროს ტრიბუნლიდან ჩამოაყალიბა მოსაზრება, რომ ჰუსეინის რეჟიმს გააჩნდა ქიმიური და ბიოლოგიური იარაღი, საუბარი იყო ბირთვულ პროგრამაზეც (Powell-2003). მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ყველაფერი, რაც მან ფაქტებად წარმოადგინა, სიმართლეს არ შეესაბამებოდა.

მთლიანობაში ბუშის ადმინისტრაციამ ჩამოაყალიბა ომის სამი მიზანი. თითოეული მათგანი წარმოადგენდა ბუშის დოქტრინის გამოძახილს: 1. სადამ ჰუსეინის მასობრივი განადგურების იარაღის არსენალის განადგურება - ეს დებულება პირდაპირ უკავშირდებოდა ბუშის დოქტრინის მეორე პრინციპს, რომელიც გულისხმობდა პრევენციულ ომს ტერორიზმის წინააღმდეგ, ვინაიდან სადამ ჰუსეინს ბრალს დებდნენ ტერორისტებთან კავშირსა და მათ მფარველობაში. 2. საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხის შემცირება. მსგავსი მისწრაფება შეიძლება დავაკავშიროთ ბუშის დოქტრინის მეოთხე პრინციპთან, რაც ამერიკას საერთაშორისო სისტემის ჰეგემონად განიხილავს და როგორც მსოფლიო დონის ლიდერს აკისრებს გარკვეულ ვალდებულებას საერთაშორისო პრობლემების მოგვარებაზე. 3. დემოკრატიის განვითარება ერაყსა და რეგიონში. ერაყის ომის მესამე მიზეზი პირდაპირ ეხმიანება რობერტ ჯერვისის მიერ გამოყოფილ პირველ პრინციპს. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ეს პრინციპი თვლის რომ საშინაო პოლიტიკის ხასიათი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საგარეო პოლიტიკის ხასიათს. შესაბამისად, დოქტრინის მიხედვით სწორედ დემოკრატიის განვითარება ერაყსა და რეგიონში იქნებოდა საერთაშორისო მშვიდობის წინაპირობა კონკრეტულად ამ რეგიონში მაინც.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, ვფიქრობ რომ ამ შემთხვევაში ბუშმა უბრალოდ კარგად გამოიყენა თავის დოქტრინა ერაყში ომის დასაწყებად. რეალურად კი სადამ ჰუსეინს ტერორისტებთან

კავშირის და ბირთვული ბომბის ქონის გარდა სხვა ყველაფერში მიუძღვოდა ბრალი: რეპრესიები, ასი ათასობით ადამიანის მკვლელობა, ქვეყნის ეკონომიკის განადგურება, ქიმიური იარაღის გამოყენება მოქალაქეების წინააღმდეგ და ა.შ. (Blauvelt T. 373-382) იყო თუ არა ეს სწორი ნაბიჯი? დღესდღეობით, როდესაც ვიცით ერაყის ომის შედეგები ძნელია ვთქვათ, რომ ბუშმა სწორი ნაბიჯი გადადგა ამით, მაგრამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს რომ 2003 წლისათვის არავინ არ მოელოდა ერაყის ომის ასე გართულებას, (რასაც ადასტურებს ვიცე პრეზიდენტის დიქ ჩეინის სიტყვები, რომელიც მან meet the press - ში თქვა „მე მწამს, რომ ერაყელები ჩვენ შეგვხვდებიან, როგორც განმათავისუფლებლებს” და იქვე გამორიცხა ხანგრძლივი დაპირისპირების შესაძლებლობა). (Chney D.-2003) ამიტომაც, იმ პერიოდში სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობა, რომელიც მნიშვნელოვნად უშლიდა ხელს როგორც ადამიანის უფლებების განხორციელებას, ასევე საერთაშორისო წესრიგს, სრულიად მიზანშეწონილად მიმაჩნია.

თებერვლისთვის დაიწყო ანტისაომარი გამოსვლები მთელს მსოფლიოში. გაეროს უშიშროების საბჭომ აშშ-ს მხარდაჭერაზე ერაყის წინააღმდეგ უარი თქვა. ბუშმა გამოიყენა დოქტრინის მესამე პრინციპი, უნილატერალიზმი და ერაყში შეიჭრა, მართალია მთავარი მიზანი მალევე განხორციელდა, მაგრამ ქვეყანა არეულობამ მოიცვა. ამერიკა იძულებული გახდა პარტიზანულ ბრძოლებში ჩაბმულიყო, რაც ბევრად პრობლემატური აღმოჩნდა ვიდრე ამას ბუშის ხელისუფლება მოელოდა (თვალამე, 2016).

## დასკვნა

ნაშრომიდან ვასკვნით რომ 11 სექტემბრის ტერაქტმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ჯერ ბუშის დოქტრინის ჩამოყალიბებაში, შემდგომ კი ამერიკის საგარეო პოლიტიკის წარმართვაში და მსოფლიო პოლიტიკური სიტუაციის შეცვლაში. 11 სექტემბერმა განსაზღვრა თავად ბუშის პრეზიდენტობა. თუ 10 სექტემბერს ბუში იყო პრეზიდენტი რომლის გამარჯვებაშიც კი ეჭვი ეპარებოდათ, 11 სექტემბერმა მისი, როგორც პოლიტიკოსის კარიერა სრულიად შეცვალა, და როგორც კლინტონ როსიტერი უწოდებს „კონსტიტუციურ დიქტატორად” აქცია. (Arthur M. Schlesinger, Jr.-1793 pp. 450-451) ეს კარგად დავინახეთ ბუშის დოქტრინის განხორციელებისას, მის მიერ გადადგმული და ჩვენ მიერ განხილული პოლიტიკური ნაბიჯებიდან. ისიც დავინახეთ რომ ამერიკის 43-ე პრეზიდენტის პოლიტიკას ბევრი კრიტიკოსი ყავს, რომლებიც მას საკმაოდ სამართლიანად აკრიტიკებენ. ამ ყველაფრის მიუხედავად, ჩემი აზრით, აღსანიშნავი ფაქტია, რომ ბუში დადგა იმგვარი პრობლემების წინაშე, რომელიც აქამდე ამერიკის არცერთ პრეზიდენტს არ ჰქონია, ვინაიდან ტერორიზმი ამგვარი მამუტაბებით პირველად დაემუქრა ამერიკას. მას მოუწია თავისი დოქტრინით და მოქმედებებით პასუხი გაეცა ჯერ არნახული საფრთხისა და ტრაგედიისთვის. 11 სექტემბერი იყო დარტყმა, რომელიც ამერიკას მიაყენეს და რომელიც აშკარად ითხოვდა საპასუხო დარტყმას საერთაშორისო სისტემის ჰეგემონისაგან. ბუშის საპასუხო დარტყმა, მისი საგარეო პოლიტიკა, რომელიც აქტიურ და რადიკალურ ნაბიჯებს შეიცავდა, ერთგვარად წააგავდა თავად ბუშის დროს გამოყენებულ „უოტერბორდინგის” პროცესს, რომელიც აშკარად პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდიოდა იმ ღირებულებებთან, რასაც ამერიკის კონსტიტუციის შექმნიდან ეს ქვეყანა ეფუძნება. მაგრამ როგორც ბუში თავის ნაშრომში „საკვანძო

გადაწყვეტილებები” წამების ამ საშუალებებზე წერს: „ერთს გეტყვით: ამ მეთოდების გამოყენებამ არაერთი სიცოცხლე გადაარჩინა”.

### გამოყენებული ლიტერატურა

- თვალაძე რ. (30/03/2016) -ბუმის დოქტრინა მოქმედებაში-ერაყის ომის დასაწყისი <https://politicalreviewer.wordpress.com/2016/03/30/bush-doctrine/>
- Annan K. (the seventh Secretary-General of the United Nations) 2005 - Terror prevention conference. Madrid. AP Archive. <http://www.aparchive.com/metadata/youtube/9c3bbde4f8887667adbec2433f8ad5c2>
- Bergen p. (CNN's national security analyst, a vice president at New America and a professor of practice at Arizona State University.) ( 12/09/2016) - 9/11: Osama bin Laden's spectacular, CNN <https://edition.cnn.com/2016/09/08/opinions/september-11-al-qaeda-spectacular-miscalculation-bergen/index.html>
- Bush W. G. (America's 43rd President (2001-2009)) “greatest challenge of any President since Abraham Lincoln.” <https://www.whitehouse.gov/about-the-white-house/presidents/george-w-bush/>
- Bush W. G.(America's 43rd President (2001-2009) (9/11/2001) - Remarks at Emma Booker Elementary School -"Today, We've Had A National Tragedy" <http://www.americanrhetoric.com/speeches/gwbush911florida.htm>
- Bush W. G.(America's 43rd President (2001-2009))- (2002 ) The President's State of the Union Address <https://georgewbush-whitehouse.archives.gov/news/releases/2002/01/20020129-11.html>
- Chney D. (vice president (2001-2009)) .Meet The Press - Transcript for sept.14 Guess. (14/09/2003) Tim Russert, moderator. [http://www.nbcnews.com/id/3080244/ns/meet\\_the\\_press/t/transcript-sept/#.WtmyQm6FPDc](http://www.nbcnews.com/id/3080244/ns/meet_the_press/t/transcript-sept/#.WtmyQm6FPDc)
- ColombaniLe M.(13/09/2001) - Nous sommes tous Américains Jean-Marie Colombani, LE Monde [http://www.lemonde.fr/idees/article/2007/05/23/nous-sommes-tous-americaains\\_913706\\_3232.html](http://www.lemonde.fr/idees/article/2007/05/23/nous-sommes-tous-americaains_913706_3232.html)
- Arthur M. Schlesinger, Jr.,(1793) The Imperial Presidency (Boston: Houghton Mifflin 450-451).
- Hewood A.(2007) Politics. Third Edition - Palgrave Macmillan
- Jervis r. -(2003) Understanding the Bush Doctrine - by The Academy of Political Science
- Kibble G. D. (2002) The Attacks of 9/11 Evidence of a Clash of Religions? <https://apps.dtic.mil/dtic/tr/fulltext/u2/a408208.pdf>

- Mearsheimer J. (2018) *The Great Delusion: Liberal Dreams and International Relations*. Yale University Press
- North Atlantic Treaty Organization (11/11/2001) -Statement by the North Atlantic Council - Brussels. <https://www.nato.int/docu/pr/2001/p01-122e.htm>
- Powell C ( U.S. Secretary of State) ( February 5 -2003) Colin Powell's speech to the United Nations on Iraq- washington post. [http://www.washingtonpost.com/wp-srv/nation/transcripts/powelltext\\_020503.html](http://www.washingtonpost.com/wp-srv/nation/transcripts/powelltext_020503.html)
- Pressler M. (8/11/11) What was 9/11 washington post [https://www.washingtonpost.com/lifestyle/style/what-was-911/2011/08/31/gIQAQL5RDK\\_story.html?noredirect=on&utm\\_term=.c1e04da4c5a0](https://www.washingtonpost.com/lifestyle/style/what-was-911/2011/08/31/gIQAQL5RDK_story.html?noredirect=on&utm_term=.c1e04da4c5a0)
- Blauvelt T. (2005) - „ *Just War Theory* and the *War in Iraq*”
- Whit house (September 2002) *The National Security Strategy of the United States of America*.
- Paternot E. Coffin R (2008)-Bush Doctrine No More – Harvard political review <http://harvardpolitics.com/covers/the-legacy-of-george-w-bush/bush-doctrine-no-more/4>
- Leffler M. (2009) Think Again: Bush’s Foreign Policy FP <https://foreignpolicy.com/2009/10/23/think-again-bushs-foreign-policy/>